# საერთო გაზეთი

№3 (642)
ოთხშაბათი
26 იანვარი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.


## 300 წლის შემდეგ საქართველო წმინდა მიწაზე ბრუნდება





## მთავარი მოწმე





პეტრე მამრაძე: ზურაბ ჟვანიამ მითხრა: პეტრე, შემეშინდა, მე მგონი, სააკაშვილი ძალიან საშიში ვინმეაო

## გოჩა გვასალია: აკაკი ბაქრაძის წინააღმდეგ





## ედიშერ გვენეტაძე: ჩვენი მთავარი ამოცანაა თავიც გადავირჩინოთ და ქართული სახელმწიფოც გადავარჩინოთ



ნაცმოძრაობა ბოლომდე გაიშიფრა – ის რუსეთის მეხუთე კოლონაა

## ლევან ლორთქიფანიძე: არ შეიძლება ღმერთის ტახტზე ღმერთის ნაცვლად ფული და საბაზრო ეკონომიკა დავსვათ



საქართველო ბენდუქიძის მავნებლური ეკონომიკური იდეების ტყვეობიდან უნდა გათავისუფლდეს!




## ვინ არის „დაუმთავრებელი“ დავით ჭიჭინაძე?



## „მართალია მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით: გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ მაინც არ შერჩება“

## კომპანია „კასარას“ განადგურებით ცეზარ ჩოჩელი და მამუკა ხაზარაძე არიან დაინტერესებულები

## „ამოისუნთქეთ, მოეშვით, რუსეთის არმიის შეჭრა უკრაინაში ნაკლებად სავარაუდოა“

## ამერიკელი სამხედრო ექიმები „სუპერვაქცინის“ შექმნაზე მუშაობენ

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

*ის ცოცხალი ენციკლოპედიაა. მან საკუთარი თვალით ნახა ავიც და კარგიც, მის თვალწინ გაიარა სამთავრობო თუ სახელისუფლებო ინტრიგებმა, არაერთმა პროვოკაციამ. მან იცის ძალიან ბევრი, რადგან იქ იყო, საკუთარი თვალით ხედავდა ყველაფერს და ანგარიშსაც უწევდნენ.*

*პეტრე მამრაძე — ორჯერ იყო პარლამენტის წევრი, ჯერ „მწვანეთა პარტიიდან“, შემდეგ კი „ნაცმოძრაობიდან“. ასევე იყო სახელმწიფო კანცელარიის უფროსი, პერიოდულად ეკავა სხვა თანამდებობებიც. ჩვენ გადავწყვიტეთ, ბატონ პეტრეს ბოლომდე ვათქმევინოთ ყველაფერი ის, რაც საინტერესო და საყურადღებოა საზოგადოებისთვის, ამიტომ მისი ინტერვიუები გამოქვეყნდება გაგრძელებებით.*



# მთავარი მოწმე

## პეტრე მამრაძე: ზურაბ ჟვანიამ მთხრა: პეტრე, შემეშინდა, მე მგონი, სააკაშვილი ძალიან საშიში ვინმეაო

**— ბატონო პეტრე, თქვენ როდის დაიწყეთ მუშაობა სამთავრობო სტრუქტურებში და რა იყო პირველი თანამდებობა?**

— მე მუშაობა დავიწყე ვიცე-პრემიერ სანდრო კავსაძის თანაშემწედ. ის კურირებდა ეროვნებათშორის ურთიერთობებსა და ადამიანის უფლებების საკითხებს. ეს სტრუქტურა შექმნა პირადად ედუარდ შევარდნაძემ რამდენიმე თვით ადრე, სანამ მუშაობას დავიწყებდი, 1992 წლის მარტში.



**— მახსოვს ბატონი სანდრო კავსაძე, ამჟამად სასულიერო პირია.**

— დიახ, მღვდელია... ის მორწმუნე იყო ყოველთვის, ბოლო დროს რამოდენიმეჯერ შევხვდი, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ საბოლოოდ გადაწყვიტა, ჩამოშორდეს საერო ცხოვრებას.

**— გამოდის, თქვენ მაშინ ჩადექით სახელმწიფო სამსახურში, როცა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება უკვე დამხობილი იყო. საინტერესოა, როგორ აფასებთ იმ მოვლენებს?**

— 1991 წლის შემოდგომაზე მოხდა ის, რაც სამწუხაროდ გარდაუვალი იყო. მე არ ვყოფილვარ არც კომკავშირელი, არც კომუნისტი, თავიდანვე მქონდა თვისება, მოვლენებს ვაკვირდებოდი და ვაანალიზებდი. აქ საუბარი არ არის იმაზე, გამსახურდიამ რამე დააშავა თუ არა, რამაც ის სავალალო შედეგი გამოიწვია, ამას ჰქონდა მიზეზები, საქართველო ამას ვერ ასცდებოდა. არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, 1992-ში, ივლისში, სანდრო კავსაძე ტყვედ აიყვანეს, ჩვენ ჩავედით სამეგრელოში, ვეძებდით, წალენჯიხაში მოვხვდი ჯაბა იოსელიანის დაბადების დღეზე. წალენჯიხა მაშინ მთლიანად დარბეული იყო „მხედრიონის“ მიერ. შევარდნაძე ჩამოვიდა ქვეყანაში, სადაც ძალაუფლება ხელში ჩაგდებული ჰქონდათ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს.ე.წ. გვარდიელებს ჰქონდათ მძიმე ტექნიკაც კი. პოლიცია იყო მთლიანად განიარაღებული. მერე მოსახლეობაში დაიწყო პრეტენზიები, შევარდნაძე ხომ ჩამოვიდა, აბა, რას გვიკეთებს? მხოლოდ მცირე ჯგუფს გვესმოდა, რა რთული საქმე გახლდათ შეიარაღებული ბანდიტების მოცილება. ვინ იყო თენგიზ კიტოვანი? მისი დაპატიმრება მოხერხდა მხოლოდ 1995 წლის იანვრის დასაწყისში, ჯაბა იოსელიანის დაპატიმრება მოხერხდა იმავე წლის შემოდგომაზე.

**— კი, ბატონო პეტრე, მაგრამ „მხედრიონობა“ და სამეგრელოს აოხრება ხომ შევარდნაძის ჩამოსვლას მოჰყვა? საზოგადოების ნაწილში მართლაც იყო იმედი, რომ მისი ძმაკაცები გვიშველიდნენ — გენშერი, კოლი, მამა ბუში... ჩვენში ხომ ასე იციან, აუცილებლად ვინმემ უნდა გვიშველოს. რატომ არ აილაგმა ბანდფორმირებები ცოტა ადრე, სანამ სამეგრელოს დაარბევდნენ?**

— იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდიამ ხელი მოაწერა ეროვნული გვარდიის დაშლას. ასეთი რამ არავინ არ გააკეთა პოსტსაბჭოთა სივრცეში. მაშინ დიდი აღტყინება იყო, უამრავი ახალგაზრდა ეწერებოდა შეიარაღებულ ძალებში. ვინ ჩააბარა ქართული ჯარი თენგიზ კიტოვანს, რომელმაც 1969 წლის შემოდგომაზე ორი ადამიანი გაიტანა მანქანით რუსთავის გზაზე და მოკლა? რატომ უნდა ემართა გვარდია ძველბიჭური გამოხტომებით ცნობილ კიტოვანს? ზვიადი ბევრმა გააფრთხილა, ეს ადამიანი გვარდიის უფროსად არ დანიშნოო, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ამას გელა ჩარკვიანიც მიყვებოდა, კლასელები იყვნენ.

**— რატომ არ გაჭრა, გამსახურდია არავის უსმენდა?**

— მაშინ ემოციები სჭარბობდა, გვახსოვს მაშინდელი საკადრო პოლიტიკა, ეს იყო რაღაც სასწაული. მურმან ომანიძე გახსოვთ?

**— დიახ, მახსოვს, ძალიან ოდიოზური, საიდუმლოებით მოცული ფიგურა იყო.**

— ეს ადამიანი შარშან გარდაიცვალა კოვიდით მოსკოვში. თავის დროზე თბილისში ცნობილი იყო როგორც კინოს ბილეთების გადამყიდველი. კინო „რუსთაველთან“ იდგა, ნებისმიერ ბილეთს მოგცემდა მაღალ ფასში. ეს კაცი გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ გახდა ვიცე-პრემიერი, იყო ბუნკერში და როცა ყველაფერი დასრულდა, იმ საღამოს „ოსტანკინოში“ გამოვიდა. სხვათა შორის, რუსული კარგად იცოდა. წამყვანმა ჰკითხა, დილას ალმოდებულ ბუნკერში იჯექით, ახლა კი ჩვენთან ხართ, ეს როგორ მოახერხეთო? პასუხი არ გაინტერესებთ? მთელი ჩემი უნარ-ჩვევების, გამოცდილების გამოყენება დამჭირდა, რომ ასე მომხდარიყოო. მაშინ ყვებოდნენ, რომ ომანიძემ დიდძალი ფული და სიმდიდრე წაიღო. ამას ამბობდნენ, მე დოკუმენტი არ მაქვს, რათა დავასაბუთო. ომარ მარგველაშვილის მოგონებებში არის ერთი ასეთი ეპიზოდი (ბატონი ომარი კომუნისტების დროს იყო მაღალჩინოსანი, სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი), ზვიადის დროა, მირეკავს პროკურორიო. თვითონ ვახტანგ რაზმაძემ დაურეკა თუ სხვამ, არ მახსოვს. ბატონო ომარ, გახსოვთ, იმ კაცზე საქმე რომ აღიძრა და გაიქცა, ძებნილი გახდა, დიპლომიც არ ჰქონდა, ახლა მოიძებნაო. მარგველაშვილი იგონებს, ძალიან გამიხარდა და ვკითხე, დააპატიმრეთ? არა, ბატონო ომარ, მინისტრად დაინიშნაო. თქვენც ხომ კარგად იცით, რომ ასეთი რაღაცები მრავლად ხდებოდა?

— სამწუხაროდ, იყო სავალალო შეცდომები, უნდა დაგიდასტუროთ, ცოტა უარესებიც ხდებოდა.

**— ამ თემას შემდგომ ინტერვიუებში ისევ დავუბუნდებით, მოდით, ახლა დღევანდელ მოვლენებზე გადავიდეთ... თქვენი კარგად ნაცნობი მიხეილ სააკაშვილი ამჯერად თავს ზვიად გამსახურდიას ადრის, მე თუ მასამართლებთ, მაშინ ისიც გაასამართლეთ, საქართველოს საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა თავის დროზეო. ტიპი ცოლის დაპატიმრებას ითხოვს, ფული მაგან დახარჯაო, ალაოდ არ არის?**

— რაკი მე მიხეილ სააკაშვილს



ძალიან ახლოს ვიცნობ, 24 წლის ბიჭი იყო, როცა გავიცანი, ბარემ იმას მოგიყვებით, როგორ დაიწყო ყველაფერი. სხვათა შორის, მისი დასაქმების საკითხზე საუბარი მე წამოვიწყე სანდრო კავსაძის თანაშემწედ დანიშვნის შემდეგ, მაშინ ვიყავი 34 წლის. მარიკა დარჩიამ მითხრა, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ახალგაზრდა კაცია ჩამოსული, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია, ენები იცის, კადრები ძალიან გვიჭირს, ალბათ გამოგადგებათო.

**— მარიკა დარჩია რაღა შუაში იყო? გავრცელებულია ვერსია, რომ სააკაშვილმა საქართველოში მუშაობა ბიძამის თემურ ალასანიას პროტექციით დაიწყო.**

— არა, 1992 წლის ზაფხულია, მე ვარ საქართველოს რადიოში მისული სანდრო კავსაძის გატაცების თემაზე სასაუბროდ, მარიკა მაშინ იქ მუშაობდა და სააკაშვილზე მიყვება. რომელი მიხეილ სააკაშვილი, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი რომ იყო, მისი




ანონსი!

ვახტანგ ხარჩილავა

გალობანი სინანულისანი, ანუ ფიქრები მწუხრის ჟამს



ვინმეა-მეთქი? რას ამბობთ, მისი შვილიშვილიაო. სხვათა შორის, უფროსი მიხეილ სააკაშვილი, ანუ ამისი ბაბუა მხოლოდ ინსტიტუტის რექტორი კი არა, კაგებეს წარმომადგენელიც იყო. არქივში არსებობს მისი სტატია, სადაც წერს, სტალინისა და ბერიას დიდი იდეები ბოლომდე არ მივა, თუ არ გავანადგურეთ სამღვდელოებაში დარჩენილი მტრებიო.

— **ამას წერს მიხეილ სააკაშვილის ბაბუა, ხომ?**

— დიახ.

— **მერე იტყვიან, ვის ჰგავსო?**

— ძალიან საინტერესოა, ასეთ რაღაცებს წერს და თან ხელს აწერს მიხეილ სააკაშვილი. მე ვეცდები, მოვძებნო ეს სტატია. მაშინ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. გამოვართვი ტელეფონის ნომერი მარიკას, დავურეკე მიშას, ვუთხარი, რაშიც იყო საქმე, მიპასუხა უაღრესად თავაზიანად, ბატონო პეტრე, დიდი მადლობა, მაგრამ უკვე გადაწყდა, საგარეო საქმეთა სამინისტროში ვინიშნები რაღაც თანამდებობაზე, მხოლოდ ამის გამო ვერ მოვალ თქვენთანო. რასაკვირველია, წარმატება ვუსურვე და ასე დავშორდით ერთმანეთს. გავიდა დაახლოებით ერთი კვირა და გურამ მამულია, რომელიც იყო კავსაძის ერთ-ერთი მოადგილე, მეუბნება, შენ ხომ მითხარი, ძალიან მცოდნე კაცი უნდა მოვიყვანოო, თან კიევის უნივერსიტეტიც დაუმთავრებია, სად არისო? საგარეოში დანიშნეს რაღაცაზე-მეთქი. ეგ გიულის ბიჭი ხომ არ არისო? კი, სწორად მიხვდი-მეთქი. ეგ საშა ჩიკვაიძემ



გააგდო კაბინეტიდან, ვერ დაინიშნა, ახლავე წავალ გიულისთანო. გურამი კარგად იცნობდა, წავიდა გიულისთან და მოიყვანა მიშა. ამის შემდეგ სააკაშვილს შეხვდნენ ზურაბ კიკნაძე და პაატა ზაქარეიშვილი, მოუწყეს გასაუბრება და პირდაპირ დაინიშნა იურიდიული დეპარტამენტის უფროსად.

— **ჩიკვაიძემ რატომ გააგდო კაბინეტიდან? მე ვიცი ერთი ვერსია, რომ დახეული ჯინსებით და ბოტასებით მიადგა.**

— არა, ზოგი დახეულ ჯინსებზე ყვება, ზოგი – „შორტებზე“, ზოგი – ბოტასებზე... რა თქმა უნდა, ბატონ საშაზე ესეც იმოქმედებდა, საგარეოს საქმეთა სამინისტროში შავი შარვალ-კოსტუმისა და თეთრი პერანგის გარეშე ვერ იმუშავებდი, ეს ეტიკეტი დაცული იყო, მაგრამ როგორც ამბობენ, როცა მიშა ბიძამისის თხოვნით ჩიკვაიძესთან შევიდა, ჩამოუჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და დაელოდა მინისტრის წინადადებას. იმას უთქვამს, ყმაწვილო, თქვენ რა გინდათ, სად იმუშავებთო? თქვენს მოადგილედ უნდა დამნიშნოთ, ასეა შეთანხმებულიო. ჩიკვაიძის პასუხი: გაეთრიეეეე!!! ამის შემდეგ მიშამ გააშანშალა საშინელი წერილი საშაზე და გამოაქვეყნა ერთ-ერთ ქართულ გაზეთში – ეს საგარეო საქმეთა სამინისტრო კი არა, არის კაგებე, ჩიკვაიძე არის ბიუროკრატი კომუნისტი, რუსული ორიენტაციისა და ასე შემდეგ. მანამდე ჩვენ არაფერი ვიცოდით, მხოლოდ ის თქვა გურამ მამულიამ, რომ საგარეოში არ დაინიშნა. მოვლენებს გავასწრებ და გეტყვით ერთ ფაქტს, „რუსთავი 2“-ის კრიზისი რომ დაიწყო, გახსოვთ?

— **უშიშროების თანამშრომლები რომ შევიდნენ შემოწმებაზე, ამას გულისხმობთ?**

— კი... შემდეგ ჟვანია რომ გადადგა, ისიც ხომ გახსოვთ?

— **დიახ, კარგად მახსოვს.**

— ეროსი კიწმარიშვილი იდგა „რუსთავი 2“-ის კართან და იძახდა, ეს არის კერძო საკუთრება, არ შეგიშვებთ, დაგვტოვეთ ახლავეო. ეროსი როგორი იყო, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაშინ გამოჩნდა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რაღაც სხვა მოვლენები იწყებოდა. ტელევიზიით აცხადებდნენ: დილით ჩამოვა მიხეილ სააკაშვილი, კიევიდან მოფრინავს. როგორც მოგვიანებით დავადგინე, იმ პერიოდში მიშა ძალიან ხშირად დადიოდა მოსკოვში, ოღონდ კიევის გავლით.

— **გამოდის, კიევის გავლით იმიტომ დაფრინავდა, რომ კვალს ფარავდა? კონკრეტულად ვისთან დადიოდა?**

— აი, ეს იცის თემურ ალასანიამ, მას უნდა ჰკითხოთ, აქ რომ დარჩენილიყო, კარგი იქნებოდა.

— **იქნებ ბიძასთან დადიოდა, როცა მოენატრებოდა ხოლმე? მაშინ თემურ ალასანია კაგებეს მაღალჩინოსანი იყო.**

— მარტო ბიძასთან არა... მე ვიცი, რომ ევგენი პრიმაკოვს ხშირად ხვდებოდა, ეს დანამდვილებით ვიცი, ამაზე მიშას ჩემი თანდასწრებით ღიად უთქვამს.

— **ვააჰ, თქვენ ახლა ძალიან საინტერესო რაღაცას ამბობთ... ესე იგი, მიხეილ სააკაშვილი მოსკოვში რუსეთის ყოფილ პრემიერსა და საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს ხვდებოდა? ალბათ ბიძა ახვედრებდა, თორემ თვითონ ამდენი „დოსტუპი“ არ ექნებოდა.**

— კი, ნამდვილად ხვდებოდა და იცით, როგორ? ჩადიოდა კიევში, იქ ხვდებოდნენ ძმები ყარამანაშვილები, შემდგომში „რუსთავი 2“ რომ გადაუფორმეს. მიშა ერთი დღე რჩებოდა იქ, სადილობდა, რესტორნებში დადიოდა, მერე მიფრინავდა მოსკოვში და ბოლოს საქართველოში ბრუნდებოდა იგივე განრიგით. როცა კრიზისი დაიწყო და ჟვანია გადადგა, მაშინაც ჩამოვიდა სააკაშვილი კიევიდან და ეს იყო სრული კატასტროფა იგივე ჟვანიასთვის, რადგან ხალხმა სტვენა აუტეხა. ამას ეგონა, სააკაშვილი მომეხმარება, რამეს იტყვისო, პირიქით მოხდა, ამანაც სტვენა აუტეხა. სააკაშვილს ტაში დაუკრეს და როცა შემდგომში ის პარლამენტის შენობაში შევარდა, აღარ გამიკვირდა.

— **ბატონო პეტრე, ერთი ეს მითხარით, სააკაშვილი მოსკოვში ხშირად რა დროს დადიოდა, როცა თქვენთან დაიწყო მუშაობა, ხომ?**

— არა, შემდეგ ის ჩვენგან წავიდა ამერიკაში, თუ არ ვცდები, 1994-ში. გრანტი იყო შემოსული, ამსტერდამშიც მოუწია რაღაც კურსების გავლა. აშშ-ში დაიწყო მუშაობა „პეტერსონ ბენქლაფის’’ ლობისტურ ოფისში. ზურაბ ჟვანია რომ ჩავიდა, უთხრა, საქართველოში უნდა დაბრუნდე, აქედან უშენოდ არ წავალო. ზურას ჰქონდა ასეთი ჩვევა, აენთებოდა ხოლმე, ახლა საქართველოს ენერგიული ხალხი სჭირდება, კადრები უნდა მოვიზიდოთო. საკუთარი ამბიციები როგორი ჰქონდა, ეს სხვა თემაა, მაგრამ ასეთი რაღაცები შეეძლო, კადრებს ეძებდა.

— **სანამ თქვენთან მუშაობდა, ატყობდით, რომ მთლად დალაგებული არ იყო?**

— მე ვატყობდი იქიდან გამომდინარეც, რომ მის ოჯახს ვიცნობდი ახლოს. რაც მაგას სჭირს, ჰქვია ლაბილური ნერვული დაავადება, არამდგრადობა. მასში იმპულსურობა ჩანდა, ერთ ადგილზე გაჩერება ძალიან უჭირდა.

— **არადა, ახლა მთლად ერთ ადგილზეა გაჩერებული.**

— მას არ შეუძლია დაჯდომა, წიგნის წაკითხვაც კი, მხოლოდ მოძრაობა, მოძრაობა და მოძრაობა. კავსაძის მდივანი გააგდებდა ხოლმე მისაღებიდან, სულ ლაპარაკობდა, ვითომ ოხუნჯობდა, ქეთევან, ნუ ხარ ასეთი ცეცა კაპეესიო. ადა მარშანიაც ჩვენთან მუშაობდა მაშინ, გია ბარამიძეც. სწორედ ბარამიძემ წაიყვანა სააკაშვილი ჟვანიასთან, მუშტაიდის ბაღში. ზურამ დამირეკა, შენ რას იტყვიო? მე ვუთხარი, ვერაფერს ვიტყვი, როცა ფსიქიკურად ადამიანი მოიკოჭლებს, მისი ყოფნა პოლიტიკაში შეუძლებელია, რეკომენდაციას ნამდვილად ვერ გავუწევ-მეთქი. ამ ამბავს გავასწრებ და გეტყვით: ამას წინათ ვიხსენებდი კოლეგებთან, სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი რომ იყო და ერთი კაცის გამოტოვებით იჯდა შევარდნაძესთან, ჩავატარეთ ექსპერიმენტი, რამდენ წუთს გაძლებდა მაგიდასთან? ფსონები იდებოდა, ზოგი 5 წუთს ამბობდა, ზოგი – 10 წუთს, ზოგი – 20 წუთს... 25 წუთი გაძლო, მაგრამ რა ხდებოდა? ჯერ ცქმუტავდა, მერე ადგა, ვითომ ურეკავდნენ, შევარდნაძეს დაეთხოვა და გავიდა. ედუარდმა გადმოგვხედა, ყველანი აქ ვართ, ნეტა ვინღამ დაურეკაო? მას შეეძლო, საათობით მჯდარიყო, მაგრამ ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო. ერთმა თქვა ძალიან კარგად, ზოგი ნათელაშვილს აბრალებს: მიხეილ სააკაშვილი ის ფსიქოტიპია, პანაშვიდზეც კი ურჩევნია, თვითონ იყოს მიცვალებული, რათა ყველა მის გარშემო დადიოდეს.

— **ზუსტი ნათქვამია.**

— დიახ, მას ისე უყვარს ყურადღება, სხვის მაგივრადაც კი ჩაწვება კუბოში. თუ ქორწილია, ის ოცნებობს, ნეტავ მე ვიყო პატარძალიო. იცით, რა ჩანდა აშკარად? ამ ადამიანში იჯდა რაღაც, რაც არ ასვენებდა. ფაქტობრივად ახლაც ასეა, მასში არის რაღაცა, რაც არ ასვენებს. ჟვანიას მე ამის შესახებ ვუთხარი. კარგი რა, პეტრე, ჩვენ გვჭირდება ამბიციური ხალხი, პოლიტიკაში ამბიციის გარეშე არაფერი გამოვაო... აი, შენ ამბიციური არ ხარო, სულ მსაყვედურობდა. მე ვუთხარი, ამბიციური ვარ იმ მხრივ, რომ საქმე გაკეთდეს-მეთქი. ამაზე მერეც გვილაპარაკია, ერთხელ მითხრა, შენ მართალი იყავი, როცა მაფრთხილებდიო. ჟვანია ხშირად ამბობდა, ყველა კაი ტიპი ჩვენთან უნდა იყოსო. მერე ეს სააკაშვილმაც გადაიღო.

— **სამწუხაროდ, ყველა კარგი ტიპი არ აღმოჩნდა.**

— არა, მერე ჟვანია იჯდა და იძახდა: აი, ნახე, რა გამოვიდა, მავანი არის პათოლოგიური მატყუარა, სამი სიტყვიდან ორს ტყუილს ამბობს... ის მეორე აქ ფულის კეთების გამოა, საქმე საერთოდ არ აინტერესებს, გახდა კომიტეტის თავმჯდომარე პარლამენტში, მისცემენ 10 ათას დოლარს და საღეჭ რეზინს გამოაცხადებს წამლად, რათა გადასახადი არ გადაიხადონ, შემდეგ გამოაცხადებს, რომ ეს კანფეტია და ასე შემდეგ. ვეტყოდი ხოლმე, შენც ხომ ასეთები გაწყობს-მეთქი? რა ვქნა, პეტიკა, რა ვქნა, ეს პარლამენტია, პოლიტიკაა, ეს არ არის კეთილშობილ ქალთა გიმნაზიაო. მას თანამშრომლობაზე, ანუ პოლიტიკაში მოსვლაზე ძალიან ბევრმა უთხრა უარი, მეცნიერი არ დარჩენილა საქართველოში, ვისაც ჟვანია არ ელაპარაკა, დროა, ჩაებათ პოლიტიკაშიო. მახსოვს, მერაბ ალექსიძეს ეძალავებოდა, უარი თქვა. მე კარგად მახსოვს 2003 წლის გაზაფხული, დამირეკა, ეს იყო ბოლო საუბარი ჟვანიასთან ვარდების რევოლუციამდე, მან მითხრა, სამწუხაროდ მართალი იყავი, ამ ხალხს სააკაშვილის გარდა არავისი გაგონება არ უნდაო. მან რუსი სპეციალისტებიც ჩამოიყვანა, კვლევები ჩაატარეს, ისევ მიშა ლიდერობდა. ერთი პერიოდი ჟვანიას რეიტინგი 20%-მდე ავიდა, მაგრამ შემოდგომაზე ისევ ჩააფლავა და მოხდა ის, რაც მოხდა. როდესაც სააკაშვილი პარლამენტში გამოვიდა და სანდრო კავსაძის კანდიდატურა ჩააგდო სახალხო დამცველის თანამდებობაზე, ილაპარაკა რაღაც სასწაულები, სიბინძურეები, მისი მეუღლეც კი ახსენა. მაშინ ზურა მელაპარაკა, პეტრე, შემეშინდა, მე მგონი, ეს ძალიან საშიში ვინმეაო. ამის შემდეგ შევარდნაძემ დანიშნა იუსტიციის მინისტრად, პარლამენტიდან გაიყვანა, იფიქრა, ვერ იმუშავებს და მერე გადავაყენებო. სამწუხაროდ, მან ყველას აჯობა, დარბოდა, ერთი და იგივე ობიექტს, ციხეებს რამოდენიმეჯერ ხსნიდა, ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მაგრად მუშაობდა.





გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

**გაგრძელება იქნება**

# ჩვენი მთავარი ამოცანაა თავიც გადავირჩინოთ და ქართული სახელმწიფოც გადავარჩინოთ

## ნაცმოძრაობა ბოლომდე გაიშიფრა – ის რუსეთის მეხუთე კოლონაა



*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, მსოფლიოს ყურადღება უკრაინისკენ არის მიმართული, რომელიც ომის ზღვარზეა. როგორ ფიქრობთ, რუსეთი შეჭრას გაბედავს?**

— მიმაჩნია, რომ უკრაინაში მსხვილმასშტაბიანი ომი არ იქნება. დღეს, მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მიერ დედამიწის ხელახალი გადანაწილება მიმდინარეობს, რაც ჩვეულებრივი პროცესია. ეს კაპიტალისტური ცხოვრების წესისა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობებისთვის დამახასიათებელია. საერთოდ, მსოფლიოს განვითარებისთვის, პატარა ლოკალური ომები აუცილებლობას წარმოადგენს. რაც შეეხება უკრაინას,







მოლაპარაკების შედეგად, ალბათ, აღმოსავლეთ-უკრაინა — ლუგანსკი და დონეცკი რუსული გავლენის ქვეშ იქნება. ამით რუსეთი, ნატოსთან მიმართებით, ე.წ. ბუფერულ ზონებს ქმნის. რაც ახლა ხდება, შეიძლება ასე შეფასდეს — ეს გახლავთ დიდი ქუხილი, მოსალოდნელი მცირე წვიმის წინ. რაც შეეხება იმას, თუ რა გავლენას იქონიებს ყოველივე საქართველოზე, შედეგი უკვე სახეზეა: 90-იანი წლებიდან დაწყებული 2008 წლის ჩათვლით, რუსეთმა საქართველოსგან ის ტერიტორიები მიიღო, რაც მისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა. ანუ, მან სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ფაქტობრივად, ეს ტერიტორია მიერთებული აქვს. ამით, მან, ტრანსლოკაციურ მაგისტრალზე პლაცდარმი შექმნა — ნებისმიერ დროს, შეუძლია თავის ტანკები გამოიყვანოს და მაგისტრალზე დააყენოს, რაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გადის. ანუ, შუაზე გაწყვიტოს არამარტო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო, არამედ ევროპა და აზია. რაც შეეხება მიტაცებულ მეორე მხარეს, მან მიიღო აფხაზეთის აკვატორია, რითაც შავ ზღვას და მის გასასვლელს აკონტროლებს. ამავე, მიზნით მოახდინა ყირიმის ოკუპაცია, ანექსია. ანალოგიური, სიტუაციაა აფხაზეთთან დაკავშირებით. ეს გეო-პოლიტიკური ბრძოლაა, სადაც სამწუხაროდ, უკრაინა და საქართველო ყველაზე დიდ წამგებიან პროცესში აღმოჩნდნენ. ამიტომ, ახალ, დიდ ცვლილებებს არ ველი. უკრაინასთან დაკავშირებით, უბრალოდ, წითელი ხაზები გაივლება, რის გარშემოც აიგება მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობები. 1648 წელს, ვესტფალიის საზავო ხელშეკრულებიდან მოყოლებული, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა ჩამოყალიბდა. თამაშის წესები, ვესტფალიის ზავმა, მეტ-ნაკლებად, დაადგინა. სამწუხაროდ, ცივი ომის დამთავრების შემდეგ, ვერ ჩამოყალიბდა წითელი ხაზები, რისი გადალახვაც არცერთ მხარეს არ შეეძლება. ბოლო, 30 წელია არსებობს წითელი ხაზები, რასაც სახელმწიფოები არ კვეთენ. შემდგომ, რაღაც ისეთი უნდა ჩამოყალიბდეს, რაც საერთაშორისო არენაზე დიდი მოთამაშეებისთვის მისაღები იქნება.

**— როგორ შეაფასებთ, ბაიდენის განცხადებას, სადაც მან მცირე შეჭრაზე ისაუბრა. ზელენსკიმ ამას ვაშინგტონისგან პუტინისთვის უკრაინაში შეჭრაზე მწვანე შუქის ანთება უწოდა.**

— ამბობენ: წამოსცდაო. ეს წამოცდენა არ გახლავთ. ბაიდენი მოხუცია, მაგრამ იგი ამერიკის პრეზიდენტია და ასეთი წამოცდენები დიდ პოლიტიკაში არ ხდება. სინამდვილეში, მან მკაფიოდ მიანიშნა: რა იქნება აშშ-ს პასუხი უკრაინაში შეჭრაზე. არავინ იფიქროს, რომ უკრაინისთვის რუსეთი და აშშ ომს დაიწყებენ. ასე, არ მოხდება. ამერიკამ და რუსეთმა ომი რომ დაიწყონ, მსოფლიო თერმობირთვული საფრთხის წინაშე დადგება. ფაქტობრივად, კაცობრიობა განადგურდება. ამერიკის და რუსეთის მმართველი წრეები, რომელთაც უზარმაზარი ქონებები აქვთ, საკუთარ თავს და კაცობრიობას, თერმობირთვული ომისთვის არ გასწირავენ.

**— რუსეთს აშშ-ს მუქარა არ აშინებს. სანქციებმა უკრაინას ყირიმის დაბრუნება ვერ მოუტანა...**

— ვერც მოუტანდა იმიტომ, რომ ეს მსოფლიოს გადანაწილების პროცესია, რასაც ისტორიის კარგი ცოდნა სჭირდება. ყველამ ვიცით, რა პროცესი მიდიოდა პირველი და მეორე მსოფლიო ომის წინ. მაშინ, მასობრივი განადგურების იარაღი გამოგონებული არ იყო. არადა, რომ ყოფილიყო არც პირველი და არც მეორე მსოფლიო ომი არ იქნებოდა. დიახ, დღეს, მსოფლიოს დიდ მოთამაშეთა ხელში მასობრივი განადგურების იარაღი რომ არ არსებობდეს, ვინ მოთვლის რამდენი ომი მოხდებოდა?! თითქმის, 75 წელი გადის, რაც დიდი მასშტაბის ომი არ ყოფილა. ეს, სწორედ, ბირთვულმა იარაღმა განაპირობა. ამ ვითარებაში, პატარა სახელმწიფოებმა, ისეთმა როგორიც საქართველოა, თავის გადარჩენაზე უნდა იფიქროს. აბა, გავიხსენოთ, რამდენი დიდი დაპირისპირება იყო, ცივი ომის პერიოდში, აშშ-სა და ყოფილ საბჭოთა კავშირს შორის. რომელიმე მათგანის ტერიტორიაზე ერთი ბომბი მაინც თუ ჩამოვარდა? — არა, ხომ. პროცესი მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე იყო გადატანილი, სადაც შემდგომში დაპირისპირებები ხდებოდა. ამის ნათელი მაგალითია ვიეტნამი. ასე, რომ ჩვენ, უნდა ვეცადოთ ამ უზარმაზარ ბრძოლაში, რაც განაწილებული მსოფლიოს ხელახლა გადანაწილებისთვის მიმდინარეობს, თავიც გადავირჩინოთ და სახელმწიფოებრიობაც.

**— რით ახსნით, საქართველოს დუმილს რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაზე?**

— ეს ცხელი თავების პოლიტიკაა. ვინც აცხადებს: უკრაინას რატომ არ ექომაგება ხელისუფლებაო, სინამდვილეში, მართლა ის კი არ ადარდებს, რომ თურმე, უკრაინის დაცვა საქართველოს დაცვაცაა, არამედ მათ, ისევ და ისევ, საკუთარ პოზიციებზე დაბრუნება სურთ. ეს გახლავთ „ნაცმოძრაობის“ ნარატივი, რომელსაც რევანშიზმი და მღვრიე წყალში თევზის ჭერა უნდა. საბედნიეროდ, დღევანდელი ხელისუფლება ღირსეულ პოზიციაზეა. ყველაზე მეტად იმას ვაფასებ, ბოლო ცხრა წელია საქართველოში ომი არ ყოფილა. ჩვენი ქვეყანა ომს ვერ გაუძლებს. ჩვენ, პოლიტიკა იუველური სიზუსტით უნდა ვაწარმოოთ. მხოლოდ, ასე თუ ავიცილებთ ბომბებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გავისრისებით. ერთი მითხარით, ამ გაცხელებული ტვინების რომელიმე ოჯახის წევრი თუ დაიჭრა 2008 წლის ომის დროს? — არა! დაიჭრა და დაიღუპა უბრალო ხალხის შვილები. ამიტომ, ნაცების პროვოკაციებს არ ავჰყვეთ და საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ქართველი ერის გადარჩენაზე ვიფიქროთ.

**— სააკაშვილმა სასამართლოში განაცხადა: მე, პიჯაკების და ბოტოქსების გამო კი არ ვზივარ ციხეში, არამედ რუსეთი რომ არ შემოვუშვი, იმისთვის მსჯის პუტინიო. როგორია, რეალობა?**

— სააკაშვილი თავის დაძვრენას ცდილობს. მას ვეკითხები: რით ახსნის, პუტინთან დაახლოებული პირის ბენდუქიძის საქართველოს ეკონომიკის მინისტრად დანიშვნას?! ასევე, რატომ მიჰყიდა და გაასხვისა საქართველოს სტრატეგიული ობიექტები რუსეთზე? კიდევ ერთი გასაოცარი ფაქტი: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, 2008 წლის ომის შემდეგ, გახდა გრიგოლ ვაშაძე, რომელიც რუსეთის მოქალაქე იყო. მას მთელი „ნაცმოძრაობა“ ეჯაჯგურებოდა, რათა რუსეთის მოქალაქის პასპორტი დაეტოვებინა, მაგრამ იგი, უარს აცხადებდა. მეტიც, ვაშაძე რუსეთის კოსმოსური კვლევების ცენტრში მუშაობდა. მოგეხსენებათ, რუსეთის კოსმოსური კვლევების ცენტრში ვერ იმუშავებს ადამიანი, რომელიც „ფე-ეს-ბე“-ს თანამშრომელი არ არის. ახლა, „ნაცმოძრაობაში“ დაწინაურებული კობა ნაყოფიას ბიოგრაფიას გადავხედოთ, რომელიც პირდაპირ რუსეთზეა მიბმული. მას გენერალოვთან ერთად საქართველოში საწარმოები აქვს შექმნილი და აქ, პირდაპირ რუსეთის წარმოამდგენელი გახლავთ.

საქართველოს ჰყოლია სულელი მეფეები, რომლებიც პოლიტიკურად ვერ აზროვნებდნენ, ასევე, რეგვენები, დაუდგრომლები, მაგრამ არ არსებობს ისეთი პოლიტიკოსი, მეფე, რომელსაც გახურებული ბრძოლის დროს ომის ველი მიეტოვებინოს და გამოქცეულიყოს, გარდა სააკაშვილისა. ეს იყო ქართველი ხალხის სირცხვილი, როცა 2008 წლის ომის დროს სააკაშვილმა სტუმარი — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუშნერი მიატოვა და გორიდან მის დაცვას გამოასწრო. ამის ჩამდენმა ხმა ვერ უნდა ამოიღოს.

**— ახლა, ნაცების რუსულ წარმომავლობაზე ისაუბრეთ...**

— დიახ, ჩემი ღრმა რწმენით, „ნაცმოძრაობა“, საქართველოში, რუსულ საქმეს აკეთებს. მათ ჩვენს ქვეყანაში სისხლისღვრა უნდათ. ყაზახეთში მიმდინარე პროცესების დროს, პირდაპირ გაიძახოდნენ: ჩვენთანაც როდის გამეორდება ყაზახეთის მოვლენებიო. ნაცების ტელევიზიის — „მთავარის“ ჟურნალისტი თენგიზ გოგოტიშვილი, პირდაპირ, აღფრთოვანებული ბღაოდა: ალმა-ატა ავიღეთო. ვის ინტერესებში შედიოდა პროცესები, რაც ყაზახეთში წარიმართა? — რუსეთის, ხომ. იქ, რუსეთის საქმე გაკეთდა. ნაცებსაც უნდათ აქ, არეულობის მოწყობა და ვის აწყობს ეს თუ არა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს?! **ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ: საქართველოში მეხუთე კოლონა არის „ნაცმოძრაობა“. ვის სჯერა, რომ კოლექტიური ნაყოფიები რუსეთის წინააღმდეგნი წავლენ!** ნაყოფიას რუსეთში ბიზნესები აქვს და მას იქ, არავინ ეხება?! ეს ვის სჯერა, ისიც, პუტინის ქვეყანაში! თურმე, პუტინი ტუჩზე კოცნის ნაყოფიას ბიზნესებს. ეს, ასე არ ხდება.

რუსეთი, თავისი ბირთვული იარაღით, დიდი ქვეყანაა. მას, ასევე, გააჩნია ჰიპერბგერითი იარაღი, რაც დასავლეთს არ აქვს. რუსეთს როცა შესაბამისი ძალა გააჩნია, ულტიმატუმების ენით საუბრობს. მაქსიმალური უნდა მოითხოვო, რომ მინიმალური მიიღო. საქმე ისაა, რომ 90-იან წლებში როცა რუსეთი დაუძლურებული იყო, გორბაჩოვსა და დასავლეთს შორის შედგა ზეპირი შეთანხმება: ნატო, წინ, ერთი დიუმითაც არ წაიწევდა. მერე რაც მოხდა, ვიცით. რუსეთმა ითმინა რაც მას თავს ლაფი დაასხეს, ხოლო როცა სული მოითქვა და ჰიპერბგერითი იარაღი შექმნა, კუნთების თამაში დაიწყო. მას სურს მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე საკუთარი გავლენის ქვეშ ჰყავდეს. ფაქტობრივად, არ უნდა ამ სივრცეში ნატოს ბაზები რომ იყოს. ეს, რამდენად განხორციელებადი იქნება, არ ვიცი. დასავლეთი საქართველოს და უკრაინას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში არ მიიღებს. ამაზე, დასავლეთის პოლიტიკოსები არაორაზროვნად მიანიშნებენ.



**— ჩვენ, მაინც გავიძახით: ნატოში შევდივართ, კარი ღიააო, თუმცა, ამ მიმართულებით, წინ ვერ წავიწიეთ. ვთქვათ, ეს რეალობად იქცა. რუსეთის საპასუხო რეაქცია რა იქნება?**

— ვფიქრობ, „ნაცმოძრაობამ“ რა პატივიც სცა რუსეთს — ბაზები აქ არის, ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, ამ ეტაპზე, მეტი არც სჭირდება. ჩვენ, იმ სტატუს-კვოთი დავრჩებით, რითაც ამჟამად ვართ. პუტინს თუ გაუვა და ნატოს არგაფართოებასთან დაკავშირებით გარანტიებს მიიღებს, ამით დაკმაყოფილდება.

**— ამ დროს, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა როგორი უნდა იყოს?**

— დიდ პოლიტიკაში 90% დაფარულია და მხოლოდ, 10% დევს ზედაპირზე, რასაც ვხედავთ. ამ 10%-ის გათვალისწინებით, ჩვენ, კიდევ ერთი სისხლისღვრა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# 300 წლის შემდეგ საქართველო წმინდა მიწაზე ბრუნდება

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოს იორდანიაში 4000 კვ.მ ზომის მიწის ნაკვეთი გადაეცა. ინფორმაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამების საკათედრო ტაძარში 19 იანვარს ნათლისღების დღესასწაულზე გაავრცელა.

"შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენ ისტორიული მომენტის მონაწილენი ვართ. მისი უდიდებულესობა იორდანიის მეფის აბდულა მეორისა და მის უმაღლესობა პრინც ღაზის მიერ მიღებული





გადაწყვეტილებით საქართველოს გადაეცა მიწა მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ. პატრიარქის კურთხევით აქ აშენდება ქართული კულტურის ცენტრი. 300 წლის შემდეგ საქართველო ბრუნდება წმინდა მიწაზე", – თქვა ღარიბაშვილმა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ეს არის საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ერთობლივი ძალისხმევის შედეგი.

**ყველაზე ადრე ქართველთა კვალი სირია-პალესტინაში ჩანს. ქრისტიანული მოძღვრებისა და ასკეტურ-სამონასტრო ცხოვრების შეთვისების მიზნით ქართველი საეკლესიო მოღვაწეები სწორედ ამ რეგიონს მიმართავდნენ. ქართველთა აქ მოღვაწეობას ჰქონდა არა ფრაგმენტული ან კერძო ხასიათი, რაც გულისხმობს ცალკეული სასულიერო პირის კერძო ინიციატივას, არამედ ეს იყო ქართული ეკლესიისა და ბერმონაზვნობის ერთიანი და მყარი სამოქმედო გეგმის შემადგენელი ნაწილი. ქართველები მოღვაწეობდნენ როგორც ბერძენთა მიერ დაარსებულ, ასევე საკუთრივ ქართულ მონასტრებში.**

## საბაწმიდის ლავრა

ეს ლავრა ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს – საბა განწმედილს დაუარსებია 483 წელს.

საბაწმიდის ლავრაში საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა მნიშვნელოვანი ძეგლები ქართულ, სირიულ, სომხურ, ბერძნულ, არაბულ ენებზე. მაგრამ მაინც საბაწმიდის სამონასტრო კერის ისტორიაში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო VIII–IX საუკუნეები. ამ პერიოდში იგი იქცა საქრისტიანო მწერლობის ერთ-ერთ გამორჩეულ კერად: წარმოებდა ინტენსიური ლიტერატურულ-მწიგნობრული საქმიანობა, გატარდა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა; განვითარდა ორიგინალური ჰიმნოგრაფია, თარგმნითი ლიტერატურა, გახშირდა ხელნაწერთა გადაწერა, შემკობა-შემოსვა... აღიზარდნენ კალიგრაფები (მაკარი ლეთეთელი, გიორგი თბილელი, იოანე-ზოსიმე...).

ხელნაწერთა უმეტესობა, რომლებიც სინაის მთაზე ინახება, VIII–IX საუკუნეებშია შექმნილი საბას ლავრაში. აქ უნდა შემუშავებულიყო ის ხელიც, რომელსაც საბაწმიდურს უწოდებენ. X საუკუნის დასაწყისიდან სხვაგვარად წარიმართა საბაწმიდის ტაძრის ბედი. არაბებმა უკვე აშკარად დაიწყეს ქართველების შევიწროება და მალე მათი გამუდმებული თავდასხმებისა და ძარცვის გამო სრულიად შეუძლებელი გახდა სავანეში ცხოვრება და მოღვაწეობა. ქართველებმა იძულებით მიატოვეს იქაურობა და მიაშურეს სხვა მონასტრებს, ძირითადად, სინას მთას. ახალ სადგომში თან გადაიტანეს როგორც სამონასტრო ტრადიციები, ისე აქ გადაწერილი და დამუშავებული წიგნების დიდი ნაწილი. სამუდამოდ შეწყვიტა არსებობა საბაწმიდის ლავრამ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი უცხოეთში ქართულ მწიგნობრულ ტრადიციებს, რომლის შემოქმედებითი ცხოვრება ძლიერ ნაკადულად ერთვოდა იმ დიდ მდინარეს, რასაც ქართული ქრისტიანული კულტურა ჰქვია.

## ჯვრის მონასტერი

პალესტინის ქართული სამონასტრო ცენტრებიდან შედარებით გვიანდელია. მას შემდეგ, რაც XI საუკუნის პირველი მეოთხედიდან არაბთა პოლიტიკა პალესტინის ქრისტიანებისადმი რამდენადმე შეიცვალა, ამ ქვეყანაში ქართველთათვის შესაძლებელი გახდა სამონასტრო ცხოვრების განახლება;

XI საუკუნის I ნახევარში ცნობილმა მწიგნობარმა გიორგი პროხორე შავშელმა დააარსა ჯვრის მონასტერი საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით. ტაძრის შენება პროხორეს დაუწყია ექვთიმე მთაწმინდლის ბრძანებით. გადმოცემის მიხედვით, მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისაგან უნდა იყოს გაკეთებული ის ჯვარი, რომელზედაც ქრისტე აცვეს. გიორგი შავშელს სავანეში შემოუკრებია 80-მდე ქართველი მოღვაწე. მათი ლიტერატურული საქმიანობა ძირითადად გამოიხატებოდა სხვა ავ-ტორთა თხზულებების გადაწერაში, მაგრამ, პალესტინაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობას აქაც მალე დაემუქრა საშიშროება. 1071 წელს იერუსალიმის აღებისას თურქ-სელჩუკებმა ქართული სავანეც დაარბიეს და ნაწილობრივ დაანგრიეს. ცოტა ხნის შემდეგ იგი კვლავ აღადგინეს და მოხატეს დავით აღმაშენებლის დახმარებით. 1273 წელს მონასტერი გადააკეთეს მეჩეთად, მაგრამ საქართველოს მეფეების ჩარევით მალევე დაიბრუნეს იგი ქართველებმა და განაგრძეს სამონასტრო ცხოვრება.

XVII საუკუნის 40-იან წლებში ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილს ჯვრის მონასტერში დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია: მოუხატვინებია კედლები და გუმბათი. ამ პერიოდში იერუსალიმის ქართველობასა და პალესტინის ჯვრის მონასტერს უდიდეს დახმარებას უწევდა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი (1611–1657).

ჯვრის მონასტერში ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები და კალიგრაფები: არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ გულაბერისძე... ტრადიციული გადმოცემით, აქ ერთხანს უმოღვაწია შოთა რუსთველსაც (მთავარ ტაძარში სვეტზე შემონახულია მისი ფრესკული პორტრეტი XII–XIII საუკუნეებისა).

მკვლევართა აზრით, ჯვრის მონასტრის ქართული მწერლობა





თავისი ხასიათითა და შინაარსით, ფაქტობრივად, არის ათონისა და საბას ლავრის ლიტერატურული ტრადიციების გაგრძელება.

საგულისხმოა, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე, მიუხედავად უცხოელთაგან მუდმივი თავდასხმებისა და დევნა-შევიწროებისა, ჯვრის მონასტერი პალესტინაში მაინც რჩებოდა ქართული მწერლობის უმთავრეს ცენტრად. XVIII საუკუნის დასასრულამდე ტაძარი ნომინალურად კვლავ ითვლებოდა ქართველთა საკუთრებად, მაგრამ XIX საუკუნის დამდეგს ხანგრძლივი ისტორიის მქონე ეს დიდებული სავანე მთლიანად დაიცალა ქართველთაგან და ყოვლად არაკანონიერად გადავიდა ბერძნების ხელში.

## ქართველთა (იბერთა) მონასტერი

V საუკუნეში პალესტინაში არსებული ქართული სამონასტრო კოლონიზაციის შესახებაც ცნობებს გვაწვდიან პეტრე მაიუმელის (იბერის) "ცხოვრება", ბიზანტიელ ავტორთა თხზულებები – რუფინუსის "საეკლესიო ისტორია" და პროკოფი კესარიელის "შენობათათვის". ყველა ადრეული ცნობის მიხედვით, პეტრე მაიუმელს იერუსალიმში აუშენებია "სახლი სასტუმროი" ქართველ და ბერძენ ბერთათვის და ასევე მდ. იორდანის პირას აუგია ქართველთა მონასტერი. როგორც ჩანს, სწორედ მას მოიხსენიებს პროკოფი კესარიელი იბერთა მონასტრის სახელწოდებით.

## ბეთლემის ქართული მონასტერი

პალესტინაში მოღვაწე ქართველთა კვალსა და ბეთლემის მახლობლად ქართული მონასტრის არსებობას ადასტურებს იტალიელი არქეოლოგის, ვირჯილიო კორბოს, მიერ 1952–53 წწ-ში აღმოჩენილი სამი ქართული მოზაიკური წარწერა (VI–VII სს.) და მონასტრის ნანგრევები. როგორც გაირკვა, ეს თეოდორე ტირონის სახელობის ქართველთა მონასტერი ყოფილა. ერთ-ერთ ყველაზე კარგად შემორჩენილ წარწერაზე იკითხება მონასტრის წინამძღვარ ამბა ანტონისა და მოზაიკური წარწერის შესმსრულებელ იოსიას სახელები.

ბუნებრივია, ამ სამ მონასტერში სამწიგნობრო საქმიანობაც იქნებოდა გაჩაღებული. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ გადაწერილ წიგნებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

იორდანიელების დაახლოებით 98% არაბია, ხოლო ჩერქეზების, სომხებისა და ქურთების მცირე რაოდენობა დანარჩენი მოსახლეობის 2% შეადგენს. მოსახლეობის დაახლოებით 83% ქალაქში ცხოვრობს. მოსახლეობის ზრდის ტემპი 2013 წლისთვის სულ რაღაც 0,14% შეადგენს.

იორდანიელების დაახლოებით 92% სუნიტი მუსლიმია. ისლამი იორდანიის ოფიციალური რელიგიაა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეს რიცხვი სწრაფად გაიზარდა, რადგან ჯერ კიდევ 1950 წელს ქრისტიანები მოსახლეობის 30% ქმნიდნენ. დღეს იორდანიელების მხოლოდ 6% არის ქრისტიანი, მათი ძირითადი ნაწილი ბერძენი მართლმადიდებლები არიან, რომელთაც ემატებათ სხვა მართლმადიდებლური ეკლესიების მცირე თემები. მოსახლეობის დარჩენილი 2% ბაჰაები ან დრუზები არიან.

სამხრეთით და აღმოსავლეთით იორდანია ესაზღვრება საუდის არაბეთს. დასავლეთით არის ისრაელი და პალესტინის დასავლეთი სანაპირო. ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარეობს სირია, ხოლო აღმოსავლეთით — ერაყი.

1999 წლის 7 თებერვალს იორდანიის მეფე ჰუსეინ ბინ ტალალი გარდაიცვალა. მეფის ძმა პრინცი ჰასანი, რომელიც ტახტის ოფიციალურ მემკვიდრედ ითვლებოდა მძიმე ავადმყოფი იყო, რის გამოც მეფემ მის ნაცვლად საკუთარი ვაჟი დანიშნა, რომელიც მეფე გახდა.

აბდულა II აგრძელებს მამის პოლიტიკას: ცდილობს გააუმჯობესოს ურთიერთობები არაბულ სამყაროსთან, გააუმჯობესოს ქალთა სტატუსი; აქტიურად ახორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს.

ის არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მეთაური. ტახტზე ასვლის შემდეგ მან არაერთი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმა განახორციელა.

იორდანია ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ქვეყანაა, ზრდასრულთა წიგნიერების მაჩვენებლით 95,4%. მეფე აბდულა არის კვალიფიციური პილოტი, პარაშუტისტი, მყვინთავი. უყვარს ავტორბოლა, წყლის სპორტი, აგროვებს იარაღის კოლექციას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# არ შეიძლება ღმერთის ტახტზე ღმერთის ნაცვლად ფული და საბაზრო ეკონომიკა დავსვათ

## საქართველო ბენდუქიძის მავნებლური ეკონომიკური იდეების ტყვეობიდან უნდა გათავისუფლდეს!



*გვესაუბრება პოლიტოლოგი ლევან ლორთქიფანიძე:*

**— ლევან, ახლახან, პრემიერი წამლის ბაზრის დარეგულირების ინიციატივით გამოვიდა. თურქეთის ბაზარი გაიხსნა და საქართველოში მედიკამენტების გაიაფებას გვპირდებიან. თუმცა, მოსახლეობაში გაჩნდა კითხვა: ვინ გაყიდის იაფ წამლებს? რა ბერკეტი არსებობს იმისათვის, რომ იაფი წამალი კვლავ არ გაძვირდეს, გამოსავალი რა არის?**



— მედიკამენტების ხელმისაწვდომობის პრობლემის მოგვარების კუთხით, თურქეთის ბაზრის გახსნა, გამოსავლად, საერთოდ, არ მესახება. პირველ ეტაპზე, თურქეთის ბაზრის გახსნის შედეგად, მოსახლეობამ შეიძლება მართლაც შვება იგრძნოს, ზოგიერთი წამლის ფასი კიდეც გაიაფდეს, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, თურქეთზე დამოკიდებულება გაიზრდება. ჩვენი თანამოქალაქეების მიერ მედიკამენტებში გადახდილი თანხა მთლიანად მეზობელ ქვეყანაში გაედინება, იმპორტიორები კოლოსალურ მოგებას მიიღებენ. აქედან, გამოსავალი ადგილობრივი წარმოების წახალისება და ფარმაცევტული მონოპოლიების დაშლა იქნებოდა. ჩვენი მიზანი არ უნდა იყოს სრულიად უღირსი ოქრიაშვილისა და მისი პარტნიორი მაფიოზების თურქი ბიზნესმენებითა და იმპორტიორებით ჩანაცვლება. ძირითადი ამოცანა სამი-ოთხი ფარმაცევტული კომპანიის გვერდით, ქიმიური და სამედიცინო მრეწველობის სხვა საწარმოების შექმნა უნდა იყოს, რომელთა გამართული მუშაობა მონოპოლისტებს ფასების შემცირებისკენ უბიძგებდა და თან, ადამიანს ადგილზე — საქართველოში დაასაქმებდა. ამასთანავე, აუცილებლობად მიმაჩნია სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტების ფასების რეგულირება. კომპანიებს არ უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ მედიკამენტი 500%-იანი მოგებით გაყიდონ. მოგება შეიძლება აღწევდეს 50%-70%-100%-ს, მაგრამ ფასის 5-ჯერ და 10-ჯერ ხელოვნურად გაზრდა, დაუშვებელია. არ შეიძლება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დარეგულირების უფლება ბაზარს მივცეთ.

**— აქვე, ჩნდება კითხვა: როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარებაში? რა გზით მიდის ქართული სახელმწიფო, რა კონცეფციით ვითარდება?**

— საქართველო სააკაშვილისა და ბენდუქიძის ეკონომიკური იდეების ტყვეობაშია. ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა ბენდუქიძის გზის გამგრძელებელია. იგი, თავისი რწმენა-წარმოდგენებით, ნეოლიბერალური ავტორიტარიზმის ლიდერებს ენათესავება. მათი კონცეფცია შემდეგია: სახელმწიფოს ფუნქცია კანონების აღსრულებაზე ზედამხედველობა და უსაფრთხოების დაცვა უნდა იყოს. მათივე რწმენით, სახელმწიფო მხოლოდ პოლიციისგან, სასამართლოსგან და ძალიან მცირერიცხოვანი ბიუროკრატიისგან უნდა შედგებოდეს, ყველა დანარჩენ საკითხს კი ბაზარი თავისი „უხილავი ხელით“ მოაგვარებს, დამოუკიდებლად, ჩარევის გარეშე გადაწყვეტს. ეს შეხედულებები პოპულარული მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟზე, გვიან ფეოდალურ ევროპაში იყო. ამგვარი დამოკიდებულებებით არცერთი ქვეყანა არ განვითარებულა. წინსვლის გასაღები თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიის განვითარებაში უნდა ვეძიოთ. პროდუქციის შექმნის, ხელმოსაჭიდი საქონლის წარმოების გარეშე, ქვეყნის სიღარიბიდან ამოყვანა, შეუძლებელია. ცხადია, მრეწველობის სექტორის მშენებლობას ათწლეულები დასჭირდება, მაგრამ მთავარია, სწორი გეზი ავიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ჭაობში დავრჩებით, სადაც მთელი ეკონომიკა საბჭოთა ეპოქაში შექმნილი შენობა-ნაგებობებისა და სიმძლავრეების, ჩვენი მიწების გასხვისებაზე, ტურიზმზე, სამორინეებსა და საბანკო-სამევახშეო სისტემაზე დგას. ასევე, უიმედოდ აღებულ ვალებზე. ეს გახლავთ გზა არსაით! დიახ, ეს არის გზა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოსაც მოსპობს და მოსახლეობას კიდევ უფრო შეამცირებს. ამასთანავე, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკურ ობიექტებზე კონტროლი დაიბრუნოს და პროგრესული გადასახადი დააწესოს. უპრინციპო, პარტიიდან პარტიაში მოხტუნავე, ხალხის ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე გაზულუქებული კახა ოქრიაშვილი და მეც, ჩვენი შემოსავლიდან ბიუჯეტში 20%-ს თანაბრად არ უნდა ვიხდიდეთ. მაფიოზებმა, მონოპოლისტებმა და სხვის უბედურებაზე მოხეირე კომერსანტებმა ბიუჯეტში 40–45% უნდა გადაიხადონ, რათა ქვეყანას სოციალური პოლიტიკის გატარების სახსრები გაუჩნდეს.



**— ჩვენთან ლიბერალური ფრთა შფოთავს: როგორ შეიძლება სახელმწიფო ბიზნესის საქმეებში ჩაერიოსო. თუკი სხვა ქვეყნებში წარმატებით ერევა, რატომ არ შეიძლება საქართველოშიც ჩაერიოს სახელმწიფო ბიზნესში იმ დროს, როცა ესა თუ ის ბიზნესი ჩარჩოებიდან გადის და სახელმწიფოსათვის საშიშ და სახიფათო მონსტრად იქცევა?**

— რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ჩარევა ბიზნესში, ეკონომიკაში სასურველი და მეტიც, აუცილებელია. ჩარევის გარეშე, ბიზნესი, მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნავს. დიახ, ბიზნესი მხოლოდ მოგების ინტერესით ხელმძღვანელობს. მისთვის მთავარია დაგროვილი, სხვისი შრომის საშუალებით შექმნილი დოვლათი გააასკეცოს და მხოლოდ მესაკუთრის სასარგებლოდ გამოიყენოს. ბიზნესი ყველაფერს ფულით ზომავს. მას მშრომელების, ღარიბების, დევნილების, პენსიონერების, გაჭირვებული ადამიანების ბედი არ აინტერესებს. ადამიანის, მოქალაქის სოციალური სამართლიანობის დაცვა მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია. დიახ, სახელმწიფო ვალდებულია ეკონომიკაში ჩაერიოს და ბიზნესის მიერ საზოგადოებაში უსამართლოდ განაწილებული სიმდიდრე, ყველაზე დაჩაგრული ჯგუფების, განათლებისა და ჯანდაცვის, კეთილდღეობის სისტემების განვითარების სასარგებლოდ, ხელახლა გაანაწილოს.



**— მარქსის ცნობილი ფრაზა გავიხსენოთ: პროლეტარიატი კაპიტალიზმის მესაფლავეა. რა ხდება ამ კუთხით საქართველოში? ხომ არ მწიფდება სიტუაცია, რომ ქართველმა პროლეტარებმა კაპიტალიზმის დასაფლავება მოინდომონ?**

— ძალიან საინტერესო შეკითხვაა. სამწუხაროდ, საქართველოში სოციალური ჯგუფები, ძლიერი სოციალური ფენები, კლასები არ არსებობენ. ქართული საზოგადოება სრულად დეზორგანიზებული, დაქსაქსული და გათითოკაცებულია. ადამიანებს არ აქვთ შეგრძნება, რომ ისინი ერთ ჯგუფს, ერთ კლასს წარმოადგენენ. მათ არ შეუძლიათ დარაზმვა და გაბრძოლება. შესაბამისად, საქართველოში რომელიმე სისტემის დასაფლავება და მის ნაცვლად ახლის წარმოქმნა, ნაკლებად სავარაუდოა. ჩვენთან მხოლოდ მშიერი ბუნტი შეიძლება მოხდეს, რაც უკეთესი სახელმწიფოს შექმნამდე ვერ მიგვიყვანს.

საქართველოს ხელისუფლებაში, ოდესმე, სოციალისტები თუ მოვიდნენ, მათ ძალიან ბევრი საფიქრალი და გასაკეთებელი ექნებათ. სკამების განაწილება რა მოსატანია... სოციალისტთა მთავარი ამოცანა იქნება უმუშევრობის დაძლევა ზომიერი, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ინდუსტრიალიზაციის. მათი მიზანი იქნება იმპორტის შეძლებისდაგვარად ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით, მაღალკვალიფიციური მუშახელის მოსამზადებლად განათლების შესაბამისი სისტემების შექმნა და ა.შ. მოკლედ, სანამ ნამცხვარს გავანაწილებთ, ის ჯერ უნდა გამოცხვეს. ქართველმა ბიზნესმენებმა არაფრის გამოცხობა არ იციან, მათ მხოლოდ ნაგვის ტკბილეულად გასაღება და შედეგად, ჩვენი ჯიბეებიდან მოტყუებით ფულის ამოღება შეუძლიათ. შესაბამისად, ეკონომიკის მთავარი მიმართულებების დაგეგმვა და კონტროლი სახელმწიფოს პრეროგატივა უნდა გახდეს.

**— თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ყველაფერს თვითონ დაარეგულირებსო — ასე გვეუბნებიან ლიბერალები.**

— რომელიმე ეკონომიკური ან პოლიტიკური შეხედულების რელიგიად გამოცხადება, არ შეიძლება. სამწუხაროდ, ქართველ ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ ბაზარი დიქტატორი უნდა იყოს. მათ ბაზარი და ფული ღმერთის ტახტზე ჰყავთ აყვანილი. შესაბამისად, ვერ იტანენ ვერანაირ კრიტიკულ შეფასებას, არ სურთ ალტერნატიული მოსაზრებების მოსმენა და თავიანთი ცრურწმენებით მოჯადოებულნი, უსაზრისოდ, უარგუმენტოდ, არანორმალურად იმეორებენ და იმეორებენ ერთსა და იმავე პრიმიტიულ მოსაზრებას.

**— ჩვენთან, ადამიანები იმისთვის არიან, რომ სახელმწიფომ იარსებოს და არა პირიქით. თავად, საზოგადოებაც არ აიგივებს თავს სახელმწიფოსთან, იგი მე-ს აყენებს წინ, თავს მოქალაქედ არ თვლის. ეს რა სენია?**

— როდესაც სახელმწიფო არ გაქვს ან სისტემა დისფუნქციურია და ვერ მუშაობს, თავს სახელმწიფოს ნაწილად ვერ იგრძნობ. ადამიანები საკუთარ თავს სახელმწიფოსთან მაშინ გააიგივებენ, თუ მას რაიმე მიზანი ექ-



ნება, დასახული მიზნის მისაღწევად გეგმას შეიმუშავებს, მის აღსასრულებლად წესებს განსაზღვრავს და საქმის პატიოსნად შესრულებას შეუდგება, ხელს შეუწყობს შრომის დანაწილებას, საზოგადოების ორგანიზებას. მე, არ ვიცი რა მიზანი აქვს საქართველოს სახელმწიფოს, არ ვიცი რას გეგმავს მომავალი წლების განმავლობაში. არ მჯერა, რომ ამ სახელმწიფოს წესებს იცავენ. მგონია, რომ პოლიტიკოსები მხოლოდ პირად სარგებელზე ფიქრობენ, არ სურთ შრომა და საერთო სიკეთეების მისაღწევად პატიოსნად მუშაობა. შესაბამისად, ძალიან რთულია თავი სახელმწიფოსთან გავაიგივოთ, მისი არსებობა ვიგრძნოთ.

**— რაც შეეხება საბანკო სექტორს, კომერციულ ბანკებს კრედიტის გაცემის უფლება აქვთ. „ეროვნული ბანკი“ კი მხოლოდ მაკონტროლებლის, მარეგულირებლის ფუნქციით შემოიფარგლება. ეს იმიტომ ხომ არა, რომ კომერციულმა ბანკებმა ფული აკეთონ?**

— „ეროვნული ბანკის“ ფუნქციებზე სპეციალისტები უკეთ მოგახსენებენ. მე, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ რიგ ქვეყნებში სახელმწიფოები თავად ქმნიან ე.წ. „განვითარების ბანკებს“. ამგვარი ბანკების მიზანია, რომ სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტად გამოცხადებულ ინდუსტრიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების, მაღალკვალიფიციური მომსახურების დარგებში, ორგანიზაციებმა, გაერთიანებებმა დაბალპროცენტიანი კრედიტების აღება შეძლონ და ის სფეროები განავითარონ, რომელთაც კომერციული, ძარცვაზე ორიენტირებული ქართული ბანკები არასდროს დააფინანსებენ. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ბანკები მოგებას კვლავ პრიორიტეტული სექტორების ხელშეწყობაში აბანდებენ. ჩვენ გვჭირდება „განვითარების ბანკი“, რომელიც საქართველოს საფინანსო სფეროს სახელმწიფოს არსებობას აგრძნობინებდა.

**— ადრე, ქართველს სიღარიბის რცხვენოდა, ახლა კი პირიქით, თავად ითხოვს ღატაკთა ფენაში დარეგისტრირებას. სოფელში, ვინც სოც.დახმარებას იღებს, არც ქათამი ჰყავს, არც ბარავს, არ შრომობს, რათა დახმარება არ მოუხსნან. ახლა, გამოუცხადეს: სამუშაო უნდა გიშოვოთო. შედეგი რა იქნება?**

— შედეგი იქნება ის, რომ ონის გამგეობის შენობის ფანჯრებს ადგილობრივი სოციალურად დაუცველები შემწეობის ფასად გაწმენდენ. ყველა სახელმწიფო სექტორში ვერ დასაქმდება. დასაქმებისთვის აუცილებელია, რომ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, სრული დატვირთვით, კიდევ სამი საამქრო ამუშავდეს, „აზოტმა“ წარმოების გაფართოება შეძლოს, თბილისში ძველებურად აგუგუნდეს რკინიგზასთან დაკავშირებული ქარხნები, გორში აღდგეს ტექსტილისა და საფეიქრო მრეწველობის წარმოება, ჭიათურის მანგანუმის მოგება ქვეყნის გარეთ არ გაედინებოდეს და სიმდიდრის ნაწილი მაინც ხალხსაც რჩებოდეს. დასაქმება შეუძლებელია იმერეთში მანქანათმშენებლობის კომპლექსის აღდგენის, ბათუმსა და ფოთში გემთმშენებელი ქარხნების ამუშავების, კვებისა და გადამამუშავებელი სექტორის ხელახლა გამართვის გარეშე. დასაქმებისთვის აუცილებელია, რომ ქვეყანა პროდუქტს ქმნიდეს. კამათლის გაგორებით, ხაჭაპურის გამოცხობით, პროსტიტუციით, ტრაილერების აქეთ-იქით მოძრაობით მასობრივი დასაქმება გამორიცხულია. ეს ბლეფია.



**— სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებში, ეკონომიკური პარამეტრების კუთხით, მოწინავე ადგილები გვიჭირავს, თუმცა, გავიძახით: ღარიბი ქვეყანა ვართო. რატომ არ არის თავსებადი არსებული რეალობა ციფრებთან?**

— სამყარო, რომელსაც ყველაფრის ციფრებით გამოხატვა შეუძლია, დეგრადირებული და უმომავლოა. რიცხვები, გაზომვადი მაჩვენებლები მნიშვნელოვანია, მაგრამ არა პირველხარისხოვანი. პირველხარისხოვანი არის ჩვენი რეალობა, ყოფა, რომლის სიმძიმე ვერცერთი სტატისტიკური მონაცემის ოდნავ გაუმჯობესებით ვერ შემსუბუქდება. სიღატაკის მიზეზი ჩვენი დაქსაქსულობა და ლიბერალიზმის ალტერნატიული იდეების მიმართ რწმენის არქონა გახლავთ. თუმცა, ნელ-ნელა ეს დრო სრულდება, 30-წლიანი ტანჯვა-წამება ადამიანებს თვალს აუხელს, მალე ყველა იგრძნობს, რომ არქიფო სეთურების მიერ ჭაში ჩაკიდებული ზარი არასდროს დარეკავს, გვირაბს, რომელსაც გვათხრევინებენ, ბოლო არ აქვს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24




# ოთარ ფაცაციას გახსენება



40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ამქვეყნიური სამყარო დატოვა და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა სასიქადულო მამულიშვილმა, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილმა ადამიანმა, საინჟინრო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელმა, პარტიული და სამეურნეო საქმიანობით გამორჩეულმა პიროვნებამ, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ, ბატონმა ოთარ ფაცაციამ.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბატონი ოთარი სწავლას აგრძელებს ლენინგრადის ცელულოზისა და ქაღალდის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით ბრუნდება ზუგდიდში.

1965 წელს ბატონი ოთარი ინიშნება ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის დირექტორად. სწორედ აქ გამოვლინდა სრულყოფილად მისი, როგორც სამეურნეო მუშაკის, სპეციალისტის და პროფესიონალის ნიჭი და ტალანტი...

მან შეძლო საკავშირო სამინისტროსაგან მიეღო საჭირო თანხები და კომბინატის ტერიტორიაზე აეშენებინა საავადმყოფო, ორი საშუალო სკოლა და საბავშვო ბაღი, დიაგნოსტიკური-სამკურნალო ცენტრი, კულტურის სასახლე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, ბინები თანამშრომლებისათვის, შესანიშნავი სასტუმრო, სასადილო, საყოფაცხოვრებო ობიექტები, 300 ადგილიანი საერთო საცხოვრებელი ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის. ასევე ამოქმედდა აგრარული სექტორი „ერგეტა“, სასათბურე მეურნეობა, შეიქმნა მეცხოველეობის მექანიზირებული ფერმა, გაფართოვდა მაღაზიათა და საზოგადოებრივი კვების ქსელი. შავი ზღვის სანაპიროზე, ანაკლიაში, მოქმედებდა კურორტი „იუჟნი“ 300 დამსვენებელზე. აღნიშნული საწარმოს სახით საქართველოში შეიქმნა მეურნეობრიობის ისეთი ფორმა, რომელიც საწარმო-ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის თავისებურად ახალი მეთოდი იყო, ამიტომაც ამბობდნენ კიდეც ბატონმა ოთარმა ქალაქში ქალაქი ააშენაო. კომბინატის დირექტორად მისი დანიშვნისას საწარმო დოტაციაზე იყო და ყოველწლიურად 7 მილიონ მანეთს იღებდა სახელმწიფოსაგან, კომბინატიდან წასვლისას მოგებამ 27 მილიონი მანეთი შეადგინა.

ბატონი ოთარი თითქმის 30 წელი მუშაობდა ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის დირექტორად, ვიდრე ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე რთულ პერიოდში 1992 წელს ზუგდიდის რაიონის გამგებლად დაინიშნებოდა. ეს იყო დრო, როცა საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება პიკს აღწევდა, მისი კულმინაცია სამეგრელო იყო. ღვთის წყალობით გადარჩა ბატონი ოთარი და გადაარჩინა ამ კუთხის მოსახლეობა. ასე გავიდა დაძაბული მუშაობის ორი წელი და მას 1993 წელს ნიშნავენ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ. ბატონი ოთარი ჩვეული ენერგიით შეუდგა საქართველოს სტაბილიზაციის, ეკონომიკური აღორძინების, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების ამოცანების გადაწყვეტას. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი განსაკუთრებული მოქმედება აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სვანეთის გზით გადმოსვლისას წარმოქმნილი სიძნელეების დაძლევის საქმეში.

ბატონი ოთარის პიროვნებაში საოცრად ჰარმონიულად იყო შერწყმული გარეგნული მომხიბვლელობა და სულიერი სიფაქიზე, ტიტანური შრომის შესაძლებლობა და კაცთმოყვარეობა. „საქმეს არ ეღალატების“ იტყოდა იგი და თავდაუზოგავად, ერთგულად იღწვოდა იმ სფეროებში, სადაც კი მუშაობამ მოუწია. ჰქონდა თანამშრომელთა შეკვრისა და შედუღების საოცარი უნარი, სანამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა, არც თვითონ მოისვენებდა და არც სხვებს მოასვენებდა. მისი პრინციპულობა არასოდეს გადაზრდილა პედანტობაში. როგორც იტყვიან, მთელ ქვეყანას უყვარდა ეს ლაღი და ყოველმხრივ სასიამოვნო კაცი.

ღმერთმა მოგვცა ძალა სიკვდილს შევეგუოთ, მაგრამ მონატრება მარადიულია. წასული ადამიანისადმი თქმული სიტყვა მასთან შეხვედრას ჰგავს. მოგონებების უნარი უფლის საჩუქარია. ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ, რომ ბატონი ოთარი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან. გავიდა ტკივილიანი 40 დღე მისი გარდაცვალებიდან. იგი დააკლდა ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, კოლეგებს, საზოგადოებას. ხელგაშლილმა და სტუმართმოყვარემ ნამუსიანი ცხოვრებით განვლო წუთისოფელი და დაგვიტოვა ცხოვრების ლამაზი ფურცელი, რომელსაც ბატონი ოთარის სახელი ჰქვია.

**საზოგადოება „ზუგდიდელის“ სახელით:**
**ბონდო ჯიქია,**
**თამაზ ცანავა,**
**მურმან ნაჭყებია,**
**იური გუგუჩია,**
**კარლო ვეკუა,**
**გივი სოსელია,**
**ვაჟა ფიფია**

## გოჩა გვასალია:

# აკაკი ბაქრაძის წინააღმდეგ

*გოჩა გვასალია — ნიჭიერი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, ესეისტი, მეცნიერი, 2019 წლის გაზაფხულზე, 53 წლის ასაკში გარდაიცვალა. მთელი სამი წელი ებრძოდა უკურნებელ სენს, მაგრამ ერთი წუთით არ შეუწყვეტია მუშაობა — წერდა შესანიშნავ წერილებს, ესეებს, თარგმნიდა, კითხულობდა ლექციებს.*

*გოჩა გვასალია, პირად ცხოვრებაში უაღრესად თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანი, უაღრესად უკომპრომისო და პრინციპული იყო, როცა საქმე მისი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს ეხებოდა.*

*მის კალამს ეკუთვნის ნარკვევების კრებული „ფორმაცია და ცივილიზაცია“, ხოლო მისი წიგნი „თერიონის ვარდი“ 2010 წლის საუკეთესო წიგნად დასახელდა კრიტიკისა და ესეისტიკის დარგში.*

*წერილი „აკაკი ბაქრაძის წინააღმდეგ“, რომელსაც დღეს ვთავაზობთ „საერთო გაზეთის“ მკითხველებს, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორი ფართო მასშტაბის მოაზროვნე იყო გოჩა გვასალია — საქართველოსადმი უანგარო სამსახურს შეწირული ეს სანთელივით წმინდა და სუფთა კაცი.*



აკაკი ბაქრაძეს უდიდესი ავტორიტეტი აქვნდა ეროვნული მოძრაობის დროს. მას 90-იანი წლების ილიას უწოდებდნენ. მისი ლექციებისა და მოხსენებების მოსასმენად ხალხი მოიჩქაროდა და ტევა არ იყო. მის სატელევიზიო გამოსვლებს მთელი საქართველო უსმენდა და შემდეგ ბჭობდნენ ამაზე. ბოლოს ისე საჯაყად დაემართა ბაქრაძეს, რომ მტერიც ვერ უზამდა. ქართველთა გულებში აღმართულ დიდების კვარცხლბეკიდან ბაქრაძე გაიპარა. ცხოვრებამ დასცინა მის მედასავლეთეობას და ჩალად აქცია მისგან თქმული სიტყვა. ქართველებს ხელთ შერჩათ ნაერისკაცალი, კომუნისტების ნასახელარი ერთი მობუტბუტე კაცი, ეროვნული მოძრაობის საბოლოო დასამარების მონაწილე, შევარდნაძის მოდასე. ისე ჩავიდა ის საფლავში ცხოვრებისგან დაძრახული, რომ ერთი არა უთქვამს რა თავისი ძველი სახელის შესაფერი.



ერის შუქურად დასახული კაცი 1992 წლის დამდეგსვე ჭვარტლიანი კვარის შუქსაც ძლივსღა გამოსცემდა. მისი სახელი გააცამტვერა სამოქალაქო ომის პირველივე დღეებმა. ჩაიყლაპა ბაქრაძე 1992 წლის დასაწყისშივე. მან თქვა 1991 წლის შემოდგომაზე, როცა თბილისი ყარდა ქართველთა შლეგობითა და ისტერიით, რომ სამოქალაქო ომი არ დაიწყებოდა. ბაქრაძისგან დარჩა ჯაბა იოსელიანის მეგობარი, დაჭიავებული კაცი, რომლის კალამი სამოქალაქო ომის სისხლშია გასვრილი. მას ერთი არა უთქვამს რა, როცა ზვიადელებს დევნიდნენ, აწამებდნენ, როცა ეროვნული მოძრაობისგან მტვერიღა დარჩა, როცა სამეგრელო აიკლეს, შევარდნაძის მეცადინობით ომები განზრახ წააგეს და ათიათასობით ქართველი გაწყდა. ის გაებუტა ჯაბა იოსელიანს და ელდარ შენგელაიამ შეარიგა. ეს თამაზ ჩხენკელისაგან და თავად ჯაბა იოსელიანისგან ვიცი. რაღაც ხუმრობა იწყინა იოსელიანისაგან და ამიტომ გაებუტა. ბაქრაძე არ იყო ის კაცი, რომ იოსელიანისთვის პირში მიეხალა სათქმელი. შევარდნაძის გამხრწნელმა ბატონობამ წარმოაჩინა, რომ ბაქრაძე იყო ჩვარი, რომელსაც თავი აღარსად გამოეყოფოდა. მახსოვს, ტაბლოიდი, A4 ფორმატის გაზეთუკა გამოუშვა უცხოპლანეტელებზე 1993 წელს. დაჩიავებული ბაქრაძე დაიარებოდა შევარდნაძის მოდასეთა შეხვედრებზე, ირეოდა იმ ლიბერტარიზებულ პარტნომენკლატურასა და მას გადაჭდობილ ანტისაბჭოელ დისიდენტებს შორის, რომელსაც ასე უშეღავათოდ ებრძოდა მართალი სიტყვით საბჭოთა პერიოდში. ის მოესწრო ინტელიგენციის კლასის დეგრადაციას და ზნედაცემულობას.

ბაქრაძეს გაუჭირდა საქართველოს მასშტაბით ამაღლებაც კი. სანამ კომუნისტების დალაგებული იყო ქართლი, მანამ ჩანდა ბაქრაძე ქართველ ერისკაცად. ის იყო თბილისელი გურული და ასეთად დარჩა. არაფერმა ისე ნათლად არ გამოაჩინა ეს, როგორც საბჭოთა სისტემის დამთავრებამ. ბაქრაძე იყო რუსთა მიერ ნათამამები, იოლი ცხოვრებით აცეტებულ თბილისელთა სალონის პოლიტიკური მთქმელი, ოთახის მოუბნარი, რომელიც გარეთ არად ვარგოდა. ვაკელების პოლიტიკური მკითხავი და მოლიქნე მარჩიელი იყო ბაქრაძე. ასეთი მარჩიელობა მაშინ ცოტას ეხერხებოდა, დღეს კი მათ ლაშქარს გაზეთები აქვთ აკლებული. ქათმის ჭკუითა და მამულიშვილური ჯამბაზობით ქვეყანას აოცებენ. ბაქრაძეს არ შეეძლო ქართველთა მასის დარაზმვა კი არა, არამედ დიდი პოლიტიკური თავყრილობის გაძღოლაც კი. საბჭოთა დროს ბაქრაძე რომელიმე მწერალთან ან ქურდის მეგობარ თეატრალთან სტუმრად მივიდოდა. იყო ერთი ქირდვა და ქილიკი რუსებზე. ეს თეატრალი თან ქურდულს აწვებოდა და თან ერისკაცობდა. თავისი თავი ყველას ინტელექტუალური ელიტის წევრი და ნამეტურ ჭკვიანი ეგონა. ერთურთს ეჯიბრებოდნენ ლენინზე ან მარქსზე სიმძაღის თქმაში. ამათ თავი ევროპელებად მიაჩნდათ, რომელნიც აზიატმა რუსებმა დაიპყრეს და ჩაგრავდნენ. ამათ ეგონათ, რომ ვინმე საკლისობდა ქართველთ ევროპაში და მათ მისვლას ელოდნენ. ესენი 1991 წლის მიწურულს ყიჟინით მიეგებნენ სამოქალაქო ომის დაწყებას და შევარდნაძის ჩამოსვლას ტაშით შეხვდნენ. რა უყო ყველა ამათგანს ცხოვრებამ. დედის საშო თავზე დაახურა და კაცობა შეუგინა. მათი ვესტერნისტობიდან (მედასავლეთეობა) კი ბეწვიც აღარ დატოვა შეუბღალავი. ბაქრაძე მოესწრო საქართველოს გახრწნას შევარდნაძის მიერ. ასეთი ლაპარაკით ერთობოდნენ აქ წლობით, რომ ქართველმა სტალინმა გაყო გერმანია, დიდმა პოლიტიკოსმა, ქართველმა შევარდნაძემ კი გააერთიანა და თურმე ამ ქართულ ფენომენს მსოფლიო იცნობს. არა, შევარდნაძემ რა გააერთიანა? გაზეთის დონეზე მეტი კი არ იყო და არის ქართველი ინტელიგენცია. ან კიდევ ასეთი ნათქვამი: სატანა გამსახურდიამ მამარდაშვილს გული გაუხეთქა. ბაქრაძე იყო ყოველივე ამის შემსწრე. პლურალიზმის გარემოში ჩაყენებული ბაქრაძე აღმოჩნდა ერთი ჩია კაცი, ისეთი უმწეო და გაცრიატებული ვიეთი, რომ არც დაიჯერებდი ამის სახელოვან კრიტიკოსობას კომუნისტების ზეობის ჟამს. 1992 წლის კატასტროფის შემდეგ, 1993–98 წლებში ბაქრაძემ ვერაფერი დაწერა გამოსაჩენი და ქვად დასადები. მან არაფერი თქვა იმაზე, რომ ქართველი ინტელიგენციის ასეთმა საარაკო არაკაცობამ გაამართლა ბოლშევიკური რეპრესიები და არარად აქცია ამ რეპრესიების გამო ცრუ ჭირისუფალთა მიერ გაზეთებსა და წიგნებში ატეხილი ვაი-უშველებელი. ბაქრაძემ ხმა ვერ ამოიღო იმაზე, რომ დასავლეთმა მოიტანა ნეოკოლონიალიზმი და ლიბერტარიზმი. არც იცოდა ეს რა იყო. იოტისოდენა არა დარჩა რა ეროვნული მოძრაობიდან უკვე 1992 წლის ბოლოსათვის. ეს გააკეთეს თავად ქართველებმა და მასონებს კი დააბრალეს. სიცრუე იყო ამდენი ბიბლიობა. რუსთა მიერ სახრითა და ხიშტით მოკრებილი ქართველი ნაცია ისევ დაიშალა ტომებად. ომები და დაცემა სხვა ხალხებსაც გადაუტანიათ, მაგრამ ისინი შთებიან ნაციებად. მათ საკუთარი ქვეყანა არ გაუძარცვავთ. ქართველნი კი ერთურთის დამძრახველ და დამჩაგრავ ტომებად ჰგიან. საბჭოთა იდეოლოგიის სიცრუე შეცვალა საქართველოს ისტორიის სიცრუემ, როცა გამოდის უამრავი ნაწერი ქვეყნის ფეოდალურ წარსულზე, მეფეებზე, თავადებსა და მღვდელმთავრებზე. ახლანდელი საკითხების, ისტორიის ფილოსოფიის სარბიელზე კი ვერა რა ითქმის. წარსულის ჩხრეკა და მისი სანაქებოდ გამოჩენა არის დღეისობის სიძნელეთაგან თავდასაძვრენი, ლაჩრობისა და ინდიფერენტიზმის, უცოდნელობის მისაჩქმალი ილეთი. ბაქრაძე ყოველივე ამაზე დუმდა. კი იძლეოდა ინტერვიუებს 1992 წლის შემდეგ, მაგრამ სათქმელი მას არ უთქვამს. ბაქრაძის ქართულით ქართლს კარგი არა ეწია რა. ქართულ სუფრასავითაა მთელი საქართველო. ყველაფერი ნარიოშალია, გამოგონილია. ყველაფერი წყეული და ტაკიმასხრულია.



ბაქრაძის ერთი-ორი საჯარო გამოსვლა მეც მომისმენია და ვერას ვამბობდი ეჭვსა და უკმარობის განცდაზე. შემოგზავნილსა და პროვოკატორს მეტყოდნენ თავმომწონე თბილისელნი. არც წამოდგომასა და შეკითხვას ჰქონდა აზრი. პოლემიკაზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი. საყოველთაო მონაჩმახმა ევროპულ საქართველოსა და ოდითგანვე მის ევროპისკენ სწრაფვაზე ცნობა მოუწამლა ქართველობას. ამაში კი ნამეტურ ბაქრაძეს მიუძღვის დიდი წვლილი. მკვახე შეძახილი თავად ბაქრაძეს ეკუთვნის და აი რატომ:

„ქართული მწერლობის“ 30-ტომეულის მეხუთე ტომს (გამომც. „ნაკადული“, თბ. 1988), წამძღვარებული აქვს აკაკი ბაქრაძის წინასიტყვაობა (გვ. 5–30). ეს არის ყოვლად აფრაკული მსჯელობა მსოფლიო ისტორიის უცოდნელი ბაქრაძისა. მან იცოდა საქართველოს ისტორია და ეს შეეწია სახელის მოპოვებაში. საქართველოს იქით რა იყო, ბაქრაძე ამაში ვერ გაერკვა ცხოვრების ბოლომდე. აი ეს წინასიტყვაობა რომ არ დაებეჭდათ კომუნისტ ცენზორებს, მერე ამაზე დადგებოდა მიეთმოეთი, რომ აგერ, ბაქრაძეს არ დაუბეჭდეს ეროვნული სულით აღბეჭდილი ტექსტი და მისთანანი. ამ წინასიტყვაობას დამწუხრებული სახეებითა და ოხვრით კითხულობდნენ ქართველნი და ისე არჩევდნენ მას, ვითომც დიდი ნააზრევი ყოფილიყოს. ეროვნული მოძრაობა იწყებოდა იმ 1988-ში და ყოველი ასეთი ნაწერი, რაც ქართველთა თავმოთნეობას ამებდა, რომ ისინი ევროპელები იყვნენ, ხელიდან ხელში გადადიოდა. აი, ასეთი უარსებითესი საკითხის გარჩევაში, როგორიცაა ქვეყნის ხანგრძლივი ორიენტაცია, იყო და არის ამდენი ზერელეობა, მაამებლობა, პატრიოტიზმს ამოფარებულ ჭკუანაკლულთა ბოღმიანობა. იმიტომაც არის ქართლის საქმე შავად. ამათი

წიგნების მიხედვით რომ განსაჯო, ყველა ჭკვიანია, მთელი საქართველო კი მუდამ მოღორებულია.

ამ წინასიტყვაობაში ბაქრაძე ამბობს, რომ იოანე მთაწმიდელი ესპანეთს აპირებდა გამგზავრებას. ვთქვათ, ესპანეთის ევროპული იმპერიის ზეობისას (XVI–XVII საუკუნეები) ვინმე ქართველი ჩასულიყო იქ და ეთქვა, რომ ის ესპანელთა ნათესავია და კავკასიის იბერიიდან სამხვეწრად მოვიდა. არა, ხომ იარა ევროპაში იმ თარსიან 1700-იან წლებში სულხან-საბა ორბელიანმა და რა ჩიტი დაიჭირა? არვინ უგდო ყური და წამოვიდა გაწბილებული. მაშინ ესპანეთის იმპერია კიდევ მძლავრობდა. ხომ შეიტყვეს ესპანელებმა, რომ კავკასიის იბერიიდან ელჩი დადიოდა ევროპაში და მერე? ბაქრაძე არ აყენებს ამ კითხვებს. სადაა ესპანეთში ქართველთა ნათესავი? ხომ იარეს იქ საბჭოთა კავშირის დროსვე ქართველებმა. წიგნები წერეს შოთა ძიძიგურმა (*შოთა ძიძიგური.* მოგზაურობა ბასკეთში (1977 წლის ივლისი). თსუ-ს გამომც. 1977), ილია ტაბაღუამ (ილია *ტაბაღუა.* ბასკები. ლეგენდები და ფაქტები. თბ., „საბჭოთა საქართველო“. 1979) და სხვებმა. XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს და 80-იან წლების შუამდე პრესასა და ტელევიზიაში ერთი ამბავი იყო ესპანეთისა და ბასკეთის გამო. ცკ-ს მდივანი შევარდნაძეც იყო ესპანეთს ჩასული და ამაზეც


ᲑᲐᲡᲙᲔᲑᲘ

გამოვიდა დიდტირაჟიანი წიგნი. ეს მოჩვენებითი სიხალისე ბასკებისა და ესპანელების ქართველებთან ნათესაობის გამო 80-იან წლებშივე მიივიწყეს, რადგან არვინ უგდო ყური ქართველებს არც ესპანეთში, არც მის ერთ-ერთ მხარეში- სეპარატისტულ ბასკეთში. ერთურთში ილალვიან მრავალი წელია ესპანელები და ბასკები. ტერორისტულად იბრძვიან ბასკები ათეულობით წელი, უამრავი ესპანელი მოკლეს. კაუდილიო ფრანკომ (1892–1975) დასაჯა ბასკები სეპარატიზმისათვის. ბასკური ტერორიზმი ესპანეთისგან განცალკევებას ისახავს მიზნად. ასეთი დონის ნაციონალიზმია ბასკებში და მას ვერ დაანელებს გლობალიზაცია. შენ რაღა ხარ, ქართველო? დაგცარა დასავლეთიდან მოტანილმა მოსახმარისა და საპამპულოს ნაირობამ და დაკარგე მამული. შენ ბასკსაც ებიძ-ემამიდები და ესპანელსაც? რად არ გინდა შეიგნო, რომ სხვადასხვა ხალხია? იმად, რომ არ წაგერთვას ლაყაფისა და ფამილარობის შესაძლებლობა. შეუძლებელია ბაქრაძეს ეს ყველაფერი არ სცოდნოდა. ის ამაზე არაფერს იტყვის. მისი ეს წინასიტყვაობა ამ წლებში დაიწერა როცა ერთი ამბავი იდგა ესპანეთის იბერიელებთან ნათესაობის გამო. რუსების ჯიბრში დგომით დაწერა ეს საცოდაობა და იდიოტობა ბაქრაძემ. მისმა დათესილმა ღვარძლმა ნაყოფი მალე გამოიღო. ეს ნაყოფი კი ისაა, რომ წიგნიერმა ქართველებმა აიკვიატეს ბიზანტიზმის დამღუპველობა საქართველოსათვის და დაიჯერეს, რომ ბიზანტია ხელს უშლიდა საქართველოს ევროპისკენ სწრაფვაში. პოლიტიკურ ფეტიშად იქცა ქართველთა შორის ეს ევროპა. ახლა ასე დავაყენოთ საკითხი: ესპანეთიდან აქ რად არვინ არასდროს ჩამოვიდა? ხომ უწყოდნენ ესპანეთში, რომ კავკასიის სამხრეთშიც არის იბერია? მსოფლიო იმპერია იყო ესპანეთი XVII–XVII საუკუნეებში, თავზე გადასდიოდა დოვლათი. სადღა არ შედიოდა ესპანური ფლოტი და გამოეგზავნა ესპანეთის სამეფო კარს ქართლის სანახავად ელჩიონი. ვის როდის გახსენებია?

ვთქვათ, ევლოთ ბაგრატიონთა მახვეწარებს ევროპაში XVII საუკუნეში, როგორც მათ რუსეთში უვლიათ. აქ რომ მოვიდოდა ევროპელი, ეგრევე კათოლიკურად მონათლვას მოითხოვდა და გეტყოდა: ევროპელი თუ ხარ და ევროპელები კათოლიკენი არიან. იეზუიტთა ორდენიდან მოვიდოდნენ ქართლში და სულ რუსეთის წინააღმდეგ ზაკვა და ლალვა იქნებოდა. ასე იყო პოლონეთში, დასავლეთ უკრაინაში. ან პროტესტანტი მისიონერი მოვიდოდა და ქართველთა ტომების ნაწილი კათოლიკე იქნებოდა, ნაწილი კი პროტესტანტი. არ იზრუნებდა ევროპელი იმაზე, რომ საქართველოს ტომები ნაციად გარდაექმნა. ვთქვათ, ევროპელები აქ მოსულიყვნენ XIX საუკუნეში და გადანათლვას ეგრე აღარ მოითხოვდნენ, რადგან რევოლუციური ეპოქა იყო დაწყებული, მაგრამ კოლონიალისტური რეჟიმი დამყარდებოდა. იმ ევროპელმა ჩინეთისა და ინდოეთის კულტურები არ ითნო. შევიდა და ტყავი გააძრო ჩინელსაც და ინდოელსაც. ევროპელი იმ ქვეყნებში იყო მძარცველი და მჟლეტელი. სულ არა წაგიკითხავს რა კოლონიალიზმის ისტორიიდან? თუ გგონია რომ შენი სვეტიცხოველი და ძველი ხელნაწერები მას გულს აუჩუყებდა და შეგეამხანაგებოდა, ბრიყვი ხარ. ევროპელი კოლონიალისტები არ მოშლიდნენ ბაგრატიონთა მეფობას, მაგრამ სამეფო კარს ყმად დაიყენებდნენ. ისინი დატოვებდნენ იმერეთის ტახტს, კახეთის ტახტს და ქართლის ტახტს. ბრიტანელები უფრორე გაამიზეზებდნენ სამი ტახტის ერთურთისგან განკერძოებას. ამის შემდეგ ქართველს ცალკე თავისი ტომების მოკრება და ნაციად ჩამოყალიბება ექნებოდა სადარდებელი, ცალკე კომპრადორული არისტოკრატიისა და მეფის ტახტის დამხობა საქართველოს მხარეებში, ცალკე კიდევ ეროვნული ანტიკოლონიალისტური მოძრაობის ორგანიზება. ამისი თავი ვინმეს ჰქონდა ქართველთა შორის? რუსებმა ფეოდალიზმის დროში ჩამყაყებულ საქართველოს ისტორიული ნახტომი აქნევინეს. ჯერ ერთი, მათ ძალით გააერთიანეს საქართველოს ტომები, მეორეც ის, რომ მეფის ტახტის გაუქმებით, ქართველს თავიდან ააცილეს ანტიმონარქიზმისა და მეფესთან ხანგრძლივი ბრძოლის აუცილებლობა, რაც იყო ყველა ევროპულ და ევროპეისტულ ქვეყანაში. ეგრე არაა, რომ შენ ევროპეიზმი გინდა და ანტიმონარქიზმი და ათეიზმი კი არ გინდა. ევროპეიზმის ფუძე იყო ორი საუკუნის წინ ათეიზმი და მონარქომაქია. ევროპელები აქ რომ ყოფილიყვნენ, მერე ილია და აკაკი ბაგრატიონთა მოსაყივნელ წიგნებს დასწერდნენ და ტახტის დამხობას ამოიჭრიდნენ გულში ყველა მათი მოდასენი. უამრავი ანტიკლერიკალური წიგნი დაიწერებოდა. ამის გარდა, გაჩნდებოდა რუსული ორიენტაციის ქართველთა დასი, რომელიც საქართველოდან ევროპელთა ფეხის ამოკვეთას დაისახავდა მიზნად. იქნებოდა წვრილი ომები და მუდმივი კონფრონტაცია პოლიტიკურ ჯგუფებს შორის. **თუ ჟორდანიას დროს ქართლში არ შემოვიდოდა ბოლშევიკი რუსი, ის უთუოდ შემოვიდოდა ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ**. ჟორდანიას პოლიტიკას მიუძღვის ბრალი იმაში, რომ აქ წითელი არმია შემოვიდა. ნუ აბოგინებ აქ რუსეთის მომტერე ევროპელ კოლონიალისტთა ჯარებს. ხომ თავზე დაგეცა ეს დამოუკიდებლობა? გაჩერდი და შეიფერე, ნუღა მტრობ რუსეთს, ნუ ბუქნავ სხვის დაკრულზე. ზემოთ ნახსენები ბრიტანელი დიპლომატი და მოგზაური ოლივერ უორდროპი ბოლშევიკთაგან წოდებულ იქნა ინგლისის რეზიდენტად ჟორდანიას მთავრობაში, რასაც მიზეზი ჰქონდა. უორდროპი მეორე მსოფლიო ომის დამთავრებასაც მოესწრო. ბრიტანეთი ლამობდა საქართველოს თავის კოლონიად და რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ პლაცდარმად ქცევას. ამას რუსი არ მოითმენდა. ჟორდანია რომ არ აჰყოლოდა ბრიტანელების წაქეზებას რუსეთის წინააღმდეგ, არ იქნებოდა 1921 წლის 25 თებერვლის ოკუპაცია და გაქცევა საქართველოს მთავრობისა. საკაცობრიო დიად იდეალებზე მოლაპარაკე და მაყვირალი გაზეთების გამომცემელი მთავრობა ჯაბანი გამოდგა. არ ვარგოდა პოლიტიკოსად ეს ნოე ჟორდანია. ჟორდანიას მთავრობა იქცა მარიონეტად ბრიტანელების ხელში. ვინ შემოდიოდა ქართლში, ვინ გადიოდა, აღარ გაიგებოდა. იმ ჟამს მაგრად აიმღვრა წყალი. ამდენი ქურდი და მამაძაღლი მეტის მოპარვას ლამობდა. აი ეს იყო ჟორდანიას დრო. გაქანებული ქურდობა იყო. აიღოს მკითხველმა 1918–20 წლების პრესა მაინც, რათა დაინახოს რა იყო მაშინ. ყველა დაწესებულება მუქთამჭამლებით და არამზადებით გაივსო. მათ დაჭერას ვეღარ აუდიოდა მაშინდელი შინაგან საქმეთა სამინისტრო. რისი ნანატრი დამოუკიდებლობა? ეგრე სად იყო, ლიბერალ ისტორიკოსთა დასი რომ ერეკება? ყოველივე ეს არა აქვს გააზრებული არც ბაქრაძეს, არც მის ეპიგონთა ლაშქარს. ტყუილია ეს დაუსრულებელი კრუსუნი რუსთა მიერ ბაგრატიონთა ტახტის მოშლაზე და ქადილი მის აღდგენაზე. ამას იზამდა ცუდი ისტორიკოსი, შევარდნაძის მოდასე გურული, ფეთიანი ლევან სანიკიძე. ისტორიკოსი მამა-შვილი, ლევან და გუბაზ სანიკიძეები იყვნენ შევარდნაძეები ქართულ ისტორიოგრაფიაში. არა, ტახტი გენატრება, მეფე გინდა? წლობით ამაზე უბნობ? ჰოდა, აღადგინე ეს ტახტი, თუ ამისი თავი გაქვს. ახლა ხომ თავისუფალი ხარ და არვინ გიშლის ხელს. რა არის ამდენი წელი ლაპარაკი საქართველოს უგვირგვინო მეფეზე, ერეკლე II-ს ძეთაგანზე ალექსანდრე ბატონიშვილზე? თავისი ძმებიც არ ედგნენ მას გვერდით. ეს ერთი იბრძოდა თავგამეტებით რუსთა წინააღმდეგ მთელი თავისი ცხოვრება. ერეკლეს ერთი დუჟინი ვაჟებიდან ერთი ალექსანდრე იყო რუსეთის თავგანწირული მტერი, მაგრამ პოლიტიკური სპეკულაციისათვის მისი სახელის გამოყენება ახლანდელ მედასავლეთეთა მიერ, მასზე დაშაქრული წიგნების წერა არაა სწორი. რუსების ჯიბრით ლაყბობენ ამდენს მეფის მოყვანაზე ქართველები. ისევ იმ ესპანეთის ბაგრატიონებისკენ იშვერენ თითს. თავადაც არ იციან, რა უნდათ, რა ალაპარაკებთ. სულ ასე როგორ არის? არა, არაა ქართველი ეს ესპანელი ბაგრატიონი, მიუხედავად იმისა, რომ ქართულად უბნობს. არაა ამ ბედშავი ქვეყნის ჭირისუფალი ეს ხორხე ბაგრატიონი და მოეშვი მის ხსენებას. აქეთ გამომხედავი არაა ის და მისი ჯალაბობა. ტურისტადაც არ ჩამოდის ქართლში. სხვა რაღა გინდა?

**ევროპა იყო და არის დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანა და არა მთელი ევროპა. შუა და აღმოსავლეთ ევროპა იყო და არის ევროპის უკანა ეზო.**

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)



# ვინ არის „დაუმთავრებელი“ დავით ჭიჭინაძე?

ვინმე დავით ჭიჭინაძეზე წერას ნამდვილად არ ვაპირებდი (ახლა რა დროს ეგ იყო?), თვითონ ამტეხა ძალადა. დიახ, ამტეხა და მეც ისღა დამრჩენია, დავსვა და წავუკითხო ლექცია თემაზე – „განა ყველა ადამიანი კაცია“?! ის ნამდვილად იმსახურებს ასეთ განსაკუთრებულ „საჩუქარს“. ამ დღეებში ტელეკომპანია „ჯორჯიან ტაიმსში“ მიუწვევიათ (ეგ საერთოდ ჩამოტარებით არი), როგორც სჩვევია ხოლმე, გალაღებულა, გალექსილა, გაუდვია ენა მხარზე და ასეთი რამ უთქვამს:

„ვინ უფრო თაღლითია, ხაზარაძე, ჯაფარიძე, თუ ივანიშვილი? ბიძინა ივანიშვილი თვითონ არ არის თაღლითი, სასწაულებს რომ დაგვპირდა და 10 წელია გვატყუებს და გვაგდებს“?!

სანამ იმაზე გადავალ, რა დაპირება არ შეუსრულა ჭიჭინაძეს ბიძინა ივანიშვილმა, რაში გადააგდო, რაში მოატყუა, მინდა, მისი ბიოგრაფია გაგაცნოთ (მონაცემები ამოღებულია ვიკიპედიიდან):

„დავით ჭიჭინაძე (დ. 7 ივლისი, 1965, თბილისი) – ქართველი ბიზნესმენი და პოლიტიკოსი.1982–1987 წლებში სწავლობდა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროტექნიკის ფაკულტეტზე, პროფესიით მშენებელ-ჰიდროტექნიკოსი. 2000 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ესე იგი, 1982–1987 წლებში სწავლობდა ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურში და 2000 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური, 5 წლიწადი კი ისწავლა „გეპეიში“, მაგრამ ფაქტობრივად 18 წელიწადში დაასრულა).

1987–1999 წლებში კერძო ბიზნესით გახლდათ დაკავებული. 1999–2004 წლებში იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით ასლან აბაშიძის „აღორძინებიდან“. 2016 წელს ისევ გახდა პარლამენტის წევრი (ისნის რაიონის მაჟორიტარი) „ქართული ოცნების“ წარდგინებით. იდეოლოგიური უთანხმოების გამო, 2018 წელს დატოვა „ქართული ოცნება“ და დააარსა პარტია „სახალხო ტრიბუნა“.

აი, ასეთია ქართველი პოლიტიკოსის, ბიზნესმენის, ეროვნული მოძრაობის წევრის, ქველმოქმედის „მშრალი“ ბიოგრაფია. ეროვნული მოძრაობა და ქველმოქმედება რა შუაშიაო? – იკითხავთ თქვენ და უკმაყოფილოდ გადააქნევთ თავებს. ამას მე კი არ ვამბობ, დავით ჭიჭინაძე თვითონ წერს თავისი 000,0%-იანი პარტიის საიტზე (ოღონდ მესამე პირში), ბატონი დავითი, პოლიტიკოსი და ბიზნესმენი ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობასო... ოღონდ როდისო, არ აკონკრეტებს. მეტიც, დავით ჭიჭინაძე წერს: „ბატონ დავით ჭიჭინაძის ცხოვრების კრედო არის პირდაპირობა და სოციალურ უსამართლობასთან ბრძოლა, იგი ყოველთვის იცავს ხალხის ინტერსებს, არასოდეს ემორჩილება პოლიტიკურ კონიუნქტურას და სიმართლეს ღიად და დაუფარავად ამბობს“.

ხედავთ, როგორი ღირსეული ადამიანი ყოფილა ბატონი დავითი? ის გახლავთ უბადლო ქველმოქმედი... მართალია, მის მიერ ჩადენილი ქველმოქმედება „გუგლშიც“ კი არ იძებნება, მაგრამ სწორედაც მაგით არის უნიკალური, რომ ასეთ რამეს ვერსად მიაკვლევთ... აბა, ის არი, ბიძინა ივანიშვილის გაკეთებულ საქმეებს რომ ჩამოწერენ ხოლმე და ბოლო არ უჩანს? ჰა, ეგ არი?!

ქველმოქმედებას დავანებოთ თავი, ჭიჭინაძის ცხოვრების კრედო არის პირდაპირობა და სოციალურ უსამართლობასთან ბრძოლა. დიახ, როდესაც მან ბიზნესმენობა დაიწყო, ფული იშოვა, პარლამენტშიც კაი ხელფასზე მოჯდა, საკუთარ თავს ეგრევე გამოუცხადა ბრძოლა. ყოველ დილით ის დგებოდა სარკესთან და იმ ადამიანს, ვისაც იქ ხედავდა, სიმართლეს პირდაპირ ეუბნებოდა, ამუნათებდა, შე ასეთო და ისეთო, ირგვლივ ამდენი გაჭირვებულია, შენ რა უფლებით მდიდრდებიო? ბოლოს დავით ჭიჭინაძეს ბატონი დავითი ისე შეზიზღდა, გამარჯობასაც არ ეუბნებოდა, აღარც სარკის წინ ჩერდებოდა, მხოლოდ აქუსთან მიდიოდა სტუდიაში და გულს იმას გადაუშლიდა ხოლმე. აქუ ტაშტიდან ფეხებს ამოალაგებდა, თავს გადააქნევდა, თვალებს დაყვლეპავდა და იტყოდა: „გაგიჟებული ვარ, ბატონო დავით, სიგარეტს ველარ ვყიდულობ, დაღმართზე რომ დავაშვები, აღმართზე ამოსვლა მიჭირს, ბლოკიც გაძვირდა, აგურიც, ბოლოკზე ლაპარაკი ზედმეტია, ლამის არი, სუპში ტომატის ნაცვლად ბატის სკლინტი ვუყო, კატასტროფაა პირდაპირ, ტროცკიზმი დამყარდა ამ ქვეყანაში“!



იცით, რატომ დადიოდა ხშირად ჭიჭინაძე აქუსთან? ისინი, როგორც დიდი ქველმოქმედები, ძალზედ კარგად უგებდნენ ერთმანეთს. პრინციპში, რატომ ვლაპარაკობ წარსულში? ეგენი ახლაც „მშვენიალურად“ უგებენ ერთმანეთს, ჩამოსხდებიან ხოლმე ვიწრო სტუდიაში და ჭუკჭუკებენ ინდაურის ჭუკებივი თ. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ბატონი ჭიჭინაძე უპრინციპულესობის გამო „ქართული ოცნებიდან“ გარიცხეს, ანუ გამოაგდეს, სხვა სტუდიებისთვისაც მისაღები ფიგურა გახდა, უფროორე „ჭუტლექსვიზიისთვის“, „კეზერვიზიისთვის“ და „ჩაჯვივიზიისთვის“ (რომელი რომელია, თვითონ მიხვდებით, არ გაგიჭირდებათ).

ზემოთ ვიხუმრე, მაგარი ქველმოქმედია, ღირსეული ადამიანი გახლავთ-მეთქი, ყველაფერი ირონიით ვთქვი, რა ეტყობა ამას ან ქველმოქმედებისა, ან კიდევ ღირსებისა? იცით, 2016 წელს პარლამენტში შესულმა ჭიჭინაძემ 2018 წელს (2 წლის შემდეგ) საზოგადოებას თავი რით გააცნო (მე პირადად ის „აღორძინებიდან“ საერთოდ არ მახსოვს)? პარლამენტში ფაროსანას თემაზე სჯა-ბაასი მიმდინარეობდა, უცებ ეს ადამიანი ადგა და თავისი დამჟავებული ჰაბიტუსით თქვა, გლეხს სწავლა რომ უყვარდეს, გლეხი არ იქნებოდა, სხვა ადგილს მიაგნებდა ცხოვრებაშიო. საქმე ეხებოდა სწავლებას, თუ როგორ უნდა გაენადგურებინათ გლეხებს ფაროსანა თავადვე. ჰოდა, ამან იკაცა, თავი განათლებულად წარმოაჩინა, მაგათ სწავლა რომ შეეძლოთ, სხვა გზას იპოვიდნენ, ეგრე კი არ იქნებოდნენ ტლაპოშიო. წარმოგიდგენიათ? ჭიჭინაძეს სწავლა-განათლება პარლამენტში ყოფნა და აქუს კანტორაში ლაქლაქი ჰგონია. არადა, ასლან აბაშიძემ თავისი პარტიის სიაში რომ ჩაწერა 1999 წელს და გაადეპუტატა, უმაღლესი განათლება ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული, საქართველოს პარლამენტის საიტზე გარკვევით ეწერა: „დაუმთავრებელი“. ეს „დაუმთავრებელი“ ადამიანი ჯერ დეპუტატი გახდა და შემდეგ დაასრულა ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ამან ისიც არ იცის, რომ ვ.ი. ლენინი ახლა მაინც მოაშოროს თავისი ბიოგრაფიიდან.

სხვათა შორის, როცა უაზრო ყბედობისა და ჭორიკნობის გამო „ქართული ოცნებიდან“ გამოაგდეს, თავიდან ბიძინა ივანიშვილზე




აუგის თქმას მაინც ვერ ბედავდა... აი, მერე, დროთა განმავლობაში შეაჩვია ენა და ახლა იმდენსაც კი ბედავს, თაღლითს უწოდებს, ათასი რამე დაგვპირდა, გადაგვაგდოო.

ამას ამბობს არაკაცი, რომელიც მუქთად შეათრიეს და ოთხი წლის განმავლობაში უმაღლესი ხელფასი ვუხადეთ, რატომ, რისთვის, რანაირად? იმიტომ, რომ ვიღაცის ძმაკაცი იყო და მერე იმ ძმაკაცსაც თავზე დააფსა, იმდენი იჭორავა და იმდენი იყლიფონავა, პანჩური ამოარტყეს. ახლა კი თავის ბიოგრაფიაში წერს, იდეოლოგიური უთანხმოების გამო წავედი პარტიიდანო. იტყუება, ცრუობს!

ჭიჭინაძე იმასაც უბნობს, ეროვნულ მოძრაობაში ვიყავიო. როგორც ჩანს, იმ პერიოდს გულისხმობს, „ტრადიციონალისტთა კავშირში“ აღმასრულებელი მდივანი რომ იყო. ავი ენები ამბობენ, იქიდანაც ისევე წამოვიდა, როგორც „ქართული ოცნებიდანო“. დარწმუნებული ვარ, იქაც გააბამდა აბლაბუდასავით ქსელებს და კაკო ასათიანს ულტიმატუმს წაუყენებდა, უნდა გადადგეო.

იმის ნაცვლად, რომ „დაუმთავრებელმა“ ჭიჭინაძემ ან ერთი ხე დარგოს, ან ერთ გაჭირვებულს დაეხმაროს, ან რამე საქველმოქმედო პროექტი დააფინანსოს, ვინმეს წაეხმაროს, რომელიმე სოფელში გზა დააგოს, წყალი გაიყვანოს, ზის ტელევიზორში (ჩამოტარებით) და 24 საათი ყბედობს: თუ ამ გზით ვიარეთ, 2024-ში კი არა 2030 -შიც „ქართული ოცნება“ იქნებაო,

ან საერთოდ სახელმწიფო გვექნება თუ არა, ისიც საკითხავიაო. გესმით? ეს „დაუმთავრებელი“ ცდილობს, საზოგადოებაში ნიჰილიზმი დათესოს, საერთოდ სახელმწიფო თუ გვექნება, ეგეც საკითხავიაო, თუ ასე ვიარეთ, 2030-შიც „ქართული ოცნება“ იქნებაო... აბა, ვინ უნდა იყოს, ჭიჭინაძე დავითი და ცისკარიშვილი პეტრე? იქნებ ხაზარაძე მამუკა, ჯაფარიძე ბადრი, ან წერეთელი ჭუტა? ეგ ისეა წერეთელი, როგორც მე ვარ ემელიანე პუგაჩოვი. დიახ, 2030 წლის შემდეგაც იქნება „ქართული ოცნება“ განახლებული შემადგენლობით... სხვათა შორის, არ არის აუცილებელი, იმ შემადგენლობასაც „ქართული ოცნება“ ეწოდებოდეს – მთავარია, შემდეგი თაობა შემოვიდეს პოლიტიკაში და არა დაობებული, ყავლგასული ჯგუფი.

ჭიჭინაძე არ ჩერდება, ისევ ჩამოტარებით განაგრძობს ქვეყნის „ნგრევას“: „ადრე უსახლკაროებისთვის გამათბობელი პუნქტები მაინც იყო და დღეს ადამიანები გვეყინება ქუჩაში“... „ოცნების“ მთავრობაში კი, იმის მაგივრად, რომ ხალხზე იზრუნონ, შიდა დაპირისპირებაა გაჩაღებული და არც არანაირი პერსპექტივა არ ჩანს“... ღარიბაშვილს, ფაქტია, „ვიღაც“ ეხმარება გარედან დამოუკიდებლობის მოპოვებაში, თან მას თავის ბოლო გამოსვლებში ერთხელაც არ მოუხდია მადლობა „ბატონი ბიძინასთვის“, რაც სკმაოდ უცნაურია“... „ივანიშვილი კობახიძე- ღარიბაშვილის დაპირისპირებაში არ ერევა, ეს აშკარაა“.

ისევ ვიხუმრე, ჭიჭინაძე ქვეყნის ნგრევას განაგრძობს-მეთქი... ამისი დანგრეული არ გაიშვა ყიზილაჯლომდე, მარტო ლაქლაქი და ჭორაობა იცის, ბოლო დროს ღარიბაშვილი ივანიშვილს მადლობას აღარ უხდის, აშკარად გარედან ეხმარება ვიღაცაო, თან „ჩორტს“ აგდებს, თან ვითომ გაუგებრობას თესავს, იქით ივანიშვილი უნდა აეჭვიანოს, აბა, როგორ? ამ უბედურმა არ იცის, რომ ივანიშვილი ასეთ იაფფასიან სირთაოზობებზე არ ეგება. იმის მაგივრად, „ოცნებაში“ ხალხზე იზრუნონ შიდადაპირისპირებაა გაჩაღებული, დაჭამეს ერთმანეთიო. ელოია კილაძეს გაასწრო ჭიჭინაძემ, ისეთ რაღაცებს იგონებს, თვითონაც კი პირი დაღებული რჩება ხოლმე.

იცით, „დაუმთავრებელი“ ჭიჭინაძის მთავარი ტრაგედია რა არის? ის იმდენადაა დაავადებული ნარცისიზმით, რომ სამების, საერთაშორისო ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა და დენდროლოგიური პარკის ამშენებელს ედრება, თან წერს, მეც ქველმოქმედი გახლავართო. აი, მარტო სამი რამ დავასახელე, რაც ივანიშვილს ისტორიაში შეიყვანს როგორც უდიდეს ქველმოქმედს, დანარჩენ საქმეებზე აღარაფერს ვიტყვი, ეს შეიძლება ჩემზე უკეთესად იცით.

ამბობენ, ჭიჭინაძეს ბავშვობაში ჭოჭინა დაუფრთხა, ჭერათხევში გადაიჩეხა და ჭერმის ხეს შეასკდაო. არ ვიცი, ამას უგონებენ თუ სიმართლეა, მაგრამ ფაქტია, ჯანზე ვერ არი!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „ამოისუნთქეთ, მოეშვით, რუსეთის არმიის შეჭრა უკრაინაში ნაკლებად სავარაუდოა“

„უკრაინაში რუსეთის შეჭრის საფრთხე რეალურია. თუმცა ჩვენ ვეცდებით, დიპლომატიურად მოვაგვაროთ და გავანეიტრალოთ მოსალოდნელი აგრესია“, — განაცხადა უკრაინის დედაქალაქ კიევში მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა. სწორედ უკრაინიდან დაიწყო ევროპული ვოიაჟი აშშ-ის პირველმა დიპლომატმა. ოფიციალური ინფორმაციით, ბლინკენი კიევში ჩავიდა, რათა პირადად ეცნობებინა იქაური ხელისუფლებისთვის აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების საუბრების დეტალები. „...ჩვენ, აშშ დაგეხმარებით შეიარაღების შეძენაში, გაგიმაგრებთ ზურგს (სავარაუდოდ, რუსეთთან ომის შემთხვევაში — გ.ბ.) ისევე, როგორც თქვენ გვეხმარებოდით“, — უთხრა ბლინკენმა უკრაინელებს.




რუსეთის უკრაინაში მოსალოდნელი შეჭრა მსოფლიოში აქტუალურ თემად იქცა. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, პენტაგონში ზუსტ თარიღებსაც ასახელებდნენ, როდის და სად შევიდოდა რუსეთის არმია, მაგრამ პროგნოზები არ გაუმართლდათ. ბლინკენის მოადგილის, ვიქტორია ნულანდის მტკიცებით, მათთვის ცნობილია რუსეთის უკრაინაში შეჭრის 18 სცენარი. რუსეთ-უკრაინის ომს გამორიცხავს პოლიტოლოგების ნაწილი. უცნაური განცხადება გააკეთა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ბლინკენის კიევიდან გამგზავრების შემდეგ მოსახლეობას მოუწოდა: „ამოისუნთქეთ, მოეშვით, რუსეთის არმიის უკრაინაში შეჭრა ნაკლებად სავარაუდოა“. მან, ასევე, თხოვნით მიმართა ხალხს, ნუ გაიტანთ ბანკებიდან თანხებს და ნუ შეეცდებით პირველადი მოხმარების საგნებისა და პროდუქტის მომარაგებასო (შეშინებული მოსახლეობა გამალებით იმარაგებს პროდუქტებს, რის გამოც მაღაზიები დაცარიელდა). იქვე თხოვნით მიმართა ევროკავშირის ქვეყნებს, გაუმკაცრონ სანქციები რუსეთს. მეორე დღეს მანვე მტკიცებითი ფორმით გააკეთა განცხადება — რუსეთი ქალაქ ხარკოვში შეჭრას და მის დაპყობას აპირებსო. „...როგორ განახორციელებენ ამას, უცნობია“, — დაამატა ზელენსკიმ.

რეალურად არავინ იცის, შეიჭრება თუ არა რუსეთი უკრაინაში. თუმცა, უკრაინას უკვე მიაწოდა სოლიდური შეიარაღება აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, დანიამ, ნიდერლანდებმა, პოლონეთმა... ძირითადად, ტანკსაწინააღმდეგო და საარტილერიო დანადგარები. უახლოეს დღეებში ბელორუსში დაიწყება რუსეთის ჯარებთან ერთობლივი ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები. „ჩვენ ომი არავისთან გვინდა, მხოლოდ საკუთარ საზღვრევს ვამაგრებთ. არავისი ტერიტორია არ გვჭირდება, რაც გვაქვს, იმას ვუვლით“, — განუცხადა ჟურნალისტებს ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ.

დენთის სუნი რეგიონში სულ უფრო მძაფრად იგრძნობა. ძნელი სათქმელია, რითი დასრულდება სავარაუდო ომი. მხოლოდ ის ვიცით, რომ აშშ და ნატო რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში არ (ან ვერ) ჩაერევა.

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები გასულ კვირას უკრაინაში. სამშობლოში დაბრუნდა ყოფილი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო, რომელიც დეკემბერში დაპატიმრების შიშით ქვეყნიდან გაიქცა. უწყება, რომლის მიხედვითაც საგამოძიებო ორგანოში გამოკითხვაზე იბარებენ, კურიერისგან არ მიიღო და სასწრაფოდ დატოვა ქვეყანა. ის ჯერ თურქეთში ჩავიდა, იქიდან კი პოლონეთში. სავარაუდოდ, „ვიზიტი“ პოროშენკომ გავლენიან ხალხთან დასაკავშირებლად გამოიყენა და ორი კვირის წინ დააანონსა, რომ 17 იანვარს დაბრუნდებოდა უკრაინაში. უნდა ვაღიაროთ, პეტრომ ვაჟკაცურად შეასრულა დანაპირები, მისი მეგობარი შლეგი სააკაშვილისგან განსხვავებით, რომელიც უკრაინული არაჟნის იარლიყით, განუბაჟებლად, როგორც კონტრაბანდული ტვირთი, ისე შემოიტანეს საქართველოში.




აეროპორტიდან პოროშენკო სასამართლოში გადაიყვანეს. პროკურატურა ითხოვდა მის დაპატიმრებას ან მილიარდი გრივნის ოდენობით გირაოს. მოსამართლე თითქმის 6 საათს ფიქრობდა, მაგრამ განაჩენის გამოცხადება ორი დღით გადადო. ზუსტად გადაწყვეტილების დრეს ჩავიოდა ბლინკენი კიევში. მოსამართლემ სახელმწიფო ღალატის მუხლით ბრალდებულ პოროშენკოს უცხოეთში გასასვლელი პასპორტები ჩამოართვა და გაათავისუფლა იმ პირობით, რომ პირველივე დაძახებისას გამოცხადდება სასამართლოში. თავად კი სასწრაფოდ გავიდა შვებულებაში. უკრაინელი პოლიტოლოგების შეფასებით, ყოფილმა დაამარცხა მოქმედი პრეზიდენტი, რომელიც უნიათო აღმოჩნდა. მართალია, ზელენსკი არჩევნების წინ ემუქრებოდა მას: „მე თქვენი ოპონენტი კი არა, განაჩენი ვარ“, მაგრამ პოროშენკოს მფარველებმა აშშ-ში არ დაუშვეს მისი დაპტიმრება. ასე რომ, პეტრომ აჯობა მიხოს, როგორც პირობის შესრულებაში, ასევე ვაჟკაცობაში (თუმცა გიჟის ვაჟკაცად მოხსენიება ცუდად ჟღერს).

ევროპული ვოიაჟის ფარგლებში, რომელიც ენტონი ბლინკენმა უკრაინიდან დაიწყო, შეხვდა გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის ჩინოვნიკებს. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ახალმა კანცლერმა ოლოფ შოლცმა უარი თქვა მასთან შეხვედრაზე. აქვე სათქმელია, გერმანია წინააღმდეგია უკრაინისთვის საბრძოლო იარაღის მიწოდებაზე. დიდი ბრიტანეთის თვითმფრინავს, რომლითაც მიჰქონდათ შეიარაღება უკრაინაში, გერმანიამ საჰაერო სივრცე ჩაუკეტა. ევროპაში გამგზავრებამდე ბლინკენი ტელეფონით დაუკავშირდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს და სასწრაფოდ შეხვედრა სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. გადაწყდა, რომ სამიტი კვლავ შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გაიმართებოდა.



მიმდინარე მოლაპარაკებების მიუხედავად, გასულ კვირას კვლავ ისმოდა მუქარები რუსეთის მიმართ. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა პრეზიდენტად მუშაობის ერთი წლის შემაჯამებელ ბრიფინგზე, რომელიც თითქმის ორ საათს გაგრძელდა, ძირითადი ყურადღება საგარეო პოლიტიკაზე გაამახვილა. კვლავაც მკაცრი სანქციებით დაემუქრა რუსეთს. ბაიდენმა არ გამორიცხა რუსეთის საერთაშორისო ბანკთაშორის სისტემიდან (სლიფტი) გაყვანა, რითიც მას შეეზღუდება საერთაშორისო არენაზე აშშ-ის დოლარით ანგარიშსწორების ოპერაციები. ეს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება.

ჟენევის სამიტის დაწყებამდე ქვეყნებს შორის პროგრესის მიღწევას არავინ ელოდა, არც დელეგაციების ხელმძღვანელები. „...თქვენ ევროპაში ტურნეს დროს თქვით, რომ ამ შეხვედრიდან რაიმე სასიკეთო გარღვევას არ ელოდებით. არც ჩვენ, მხოლოდ გვინდა კონკრეტული პასუხი კონკრეტულ წინადადებებზე“, — უთხრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა შეხვედრის დაწყებისას ბლინკენს. სამიტის დაწყებამდე თვალშისაცემი იყო ბლინკენისა და ლავროვის უჩვეულოდ თბილი მისალმება. დელეგაციების დახურული შეხვედრა საათნახევარზე მეტ ხანს გაგრძელდა. ამის შემდეგ ლავროვმა და ბლინკენმა პირისპირ 20 წუთი ილაპარაკეს. საუბარზე არც თარჯიმნები დაისწრეს, მსგავსი, ათწლეულებია, არ ყოფილა. პოლიტოლოგების შეფასებით, სამიტზე ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს 20 წუთი იყო. შეხვედრის შემდეგ ბლინკენმა განაცხადა, რომ აშშ გააგრძელებს კონსულტაციებს ევროპის ქვეყნებთან და ამ კვირაში წერილობით უპასუხებენ რუსეთის წინადადებებს. ამასთან, აშშ-ის მხარემ წინასაწარ სთხოვა რუსეთს, მათი პასუხი არ გაასაჯაროონ. ლავროვმა შეხვედრას სასარგებლო უწოდა, დეტალური საუბარი პასუხის მიღებამდე გადადო. სამიტის დასრულებისთანავე პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა კემპდევიდში დაიბარა ბლინკენი, სადაც შაბათ-კვირას კონსულტაციები მიმდინარეობდა პრეზიდენტის გუნდში. განსახილველი საკითხი, თავისთავად, რუსეთი გახლდათ.



მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასეს პოლიტოლოგებმა ირანის პრეზიდენტის იბრაჰიმ რაისის მოსკოვში ჩასვლა. თანამდებობაზე იგი შარშან ივნისში აირჩიეს, მაგრამ ოფიციალური ვიზიტი პირველად რუსეთში განახორციელა. „...რუსეთში ჩემი ვიზიტი და პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრა ჩვენს ქვეყანას ახალ პოლიტიკურ არეალზე გაიყვანს“, — უთხრა მოსახლეობას რაისმა მოსკოვში წასვლის წინ. სამშობლოდან იგი ზარზეიმით, ორკესტრით გააცილეს.

სტუმარს რუსეთში მართლაც ღირსეულად დახვდნენ. რაისიმ კრემლში ნამაზის ლოცვაც კი აღავლინა. შეხვედრის დაწყებისას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა აღნიშნა ორი ქვეყნის ნაყოფიერი თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში. „...ჩვენ, ორმა ქვეყანამ ურთიერთთანამშრომლობით შევძელით სირიაში საერთაშორისო ტერორიზმის განეიტრალება“ — უთხრა სტუმარს პუტინმა. „...ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო გავაღრმავოთ ორმხრივი თანამშრომლობა... აგერ უკვე თითქმის ორმოცი წელია, ვუპირისპირდებით აშშ-ს, მაგრამ ვერანაირი სანქციები ვერ შეაჩერებს ჩვენი ქვეყნის განვითარებას“, — უპასუხა რაისიმ. რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის გარდა, ირანის პრეზიდენტი სახელმწიფო დუმაში სიტყვით გამოვიდა. როგორც ცნობილი გახდა, ირანელებმა მოსკოვში 20-წლიანი თანამშრომლობის გეგმა ჩაიტანეს. იბრაჰიმ რაისის უსაფრთხოებას, პირადი დაცვის გარდა, რუსეთის სპეცსამსახურების გაძლიერებული რაზმიც იცავდა, რაც მისი ვიზიტის მნიშვნელობაზე მეტყველებს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# კომპანია „კასარას“ განადგურებით ცეზარ ჩოჩელი და მამუკა ხაზარაძე არიან დაინტერესებულები

**ბუნებრივი რესურსის მომპოვებელი შპს „კასარა“ ყაზბეგის რაიონში 2004 წლიდან ფუნქციონირებს. კომპანიას 2005 წელს აუქციონის წესით მიღებული წიაღის მოპოვების 25 წლიანი ლიცენზია 2008 წლის 8 აგვისტოს ომის დაწყების დღეს, ნაციონალების პრემიერის ნიკა გილაურის ბრძანებით, როგორც კომპანიის მესვეურები ამბობენ, უკანონოდ და დაუსაბუთებლად ჩამოერთვა, მაშინდელი მცხეთა–მთიანეთის გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის ბიზნეს ინტერესის სასარგებლოდ. იმ დღეს, როცა საქართველოს ძირძველ კუთხეში – სამაჩაბლოში ორასი ქართული სოფელი დაიკარგა, ნაციონალების მაღალჩინოსნებმა მოიცალეს კომპანია „კასარასთვის“. ამ დროისათვის კომპანიის დამფუძნებლებს უკვე ჰქონდათ განხორციელებული 1 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია, რომელიც განიავდა და სასამართლო დავების დროს კომპანიის ქონება თითქმის სრულად განადგურდა. 2012 წელს ლიცენზია დაუბრუნდათ, თუმცა, როგორც ცხადი ხდება, მაშინდელი გარემოს ეროვნული სააგენტოს და გუბერნატორის მხრიდან მეწარმეზე ხელშეშლა კვლავ გაგრძელდა.**

**კომპანიის ხელმძღვანელი ნანული (დოდო) თურქოშვილი აცხადებს, რომ „კასარას“ წარმოების განადგურებით და ხელში ჩაგდებით ამჟამად ცეზარ ჩოჩელი და „თი-ბი-სი“ ბანკი დღემდე აქტიურად არიან დაინტერესებული.**



დოდო თურქოშვილი: „2014 წლიდან კომპანიამ აქტიურად დაიწყო ინვესტორის მოძიება, რომელიც წილის შეძენის სანაცვლოდ, კომპანიის განვითარებაში უნდა მოგვხმარებოდა. დაგვიკავშირდა ცეზარ ჩოჩელის მეგობარი, ყაზბეგის ყოფილი გამგებელი, რომელიც კომპანიის დაფუძნებაში მონაწილეობდა და ცეზარ ჩოჩელის თხოვნით, ჩვენთან მოინდომა შეხვედრა. შეხვედრა შედგა ყაზბეგში, მოლაპარაკებებში მონაწილეობდა როგორც ყაზბეგის ყოფილი გამგებელი გოგი ქირიკაშვილი, ასევე, ცეზარ ჩოჩელი და რამდენიმე მისი ჩრდილო კავკასიელი ბიზნეს-პარტნიორი. ცეზარ ჩოჩელის განცხადებით, სწორედ ოსები იყვნენ ფაქტობრივი ინვესტორები. მათ შორის ოსეთის მაშინდელი პარლამენტის წევრი, გავლენიანი ბიზმესმენი ასლან ხადარცევი და სხვები. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ქართული ლუდის კომპანია „ზედაზენის“ ოფისში შევთანხმდით, რომ ინვესტორები შეიძენდნენ კომპანიის საკონტროლო პაკეტს, ანუ 70%–ს, 3,5 მილიონი ევროს ინვესტიციის განხორციელების სანაცვლოდ, რაზეც გაფორმდა კიდეც სათანადო დოკუმენტაცია.

**– როგორც ვიცი, იქ ერთი ჭაბურღილია, არსებობდა ბუნებრივი მარაგი, რომ იქ კიდევ ერთი ჭაბურღილი დამონტაჟებულიყო?**

– 2013 წლის სახელმწიფო მარაგების კომისიის მიერ დამტკიცებულია მარაგები 38–40 ტონა დღე-ღამეში. „კასარას“ ჭაბურღილი კი ევროპის ტერიტორიაზე, ალპურ ზონაში, ერთადერთი უნიკალური ჭაბურღილია უზრმაზარი მარაგით. აღნიშნული ჭაბურღილის მიმდებარედ ცნობილი ჰიდროგეოლოგების სამეცნიერო დასკვნებით, შესაძლებელია დამატებით ჭაბურღილების გაბურღვა და $CO_2$-ის დიდი მარაგის მიღება. რომელზეც მეზობელ ქვეყნებში დიდი მოთხოვნაა.

**– ხელშეკრულებას ხელი ვინ მოაწერა?**

– ჩოჩელის გადაწყვეტილებით, წილი გაფორმდა ლაურა ჩიტიშვილზე, ხელშეკრულებას ქალბატონი ლაურას ნაცვლად ხელი მოაწერა მისმა მამამ, ცეზარ ჩოჩელის ცოლის ძმამ გიორგი (ჟორა) ჩიტიშვილმა, რომელიც, ფაქტობრივად, გახდა 70% წილის მფლობელი.

მოკლედ, ყველა ბიზნესაქტივობას აფინანსებდნენ ოსი ბიზნესმენები. ისინი აცხადებდნენ: რადგან გიორგი ჩიტიშვილი ოსეთის მკვიდრია, თანხის გადარიცხვას ვერ მოვახდენთო და ამ მიზეზით საინვესტიციო არადეკლარირებული ფული ჯიბით მოჰქონდა,, ზედაზენის“ მთავარ ფინანსისტს სერგო ღვინიაშვილს. ბიზნეს-საქმიანობას წარმართავდნენ ცეზარ ჩოჩელი, ხადარცევის სიძე თემურ აკოევი და გიორგი ჩიტიშვილი, რომელსაც, როგორც შემდგომში გაირკვა, ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა.

2014 წ. აპრილში, მიზერული თანხით წილის შეძენის დღიდან კომპანიის დირექტორად დანიშნეს ჩოჩელის დეიდაშვილი ზურაბ ფიცხელაური, რის შემდეგაც 30%–ში მყოფ პარტნიორებს შენობაშიც კი აღარ გვიშვებდნენ. გამოიკვეთა მთავარი ინტერესი: ჩვენი გაძევება და კომპანიის სრულად ხელში ჩაგდება.

**– რატომ გაგიჩნდათ განცდა, რომ თქვენი გაძევება უნდოდათ?**

– კომპანიის 70%- შეიძინეს, წილის შეძენის სანაცვლოდ აღებულ ვალდებულებებს მიზანმიმართულად არ ახორციელებდნენ, გადასახადებს არ იხდიდნენ, დღგ-ს ზედმეტობა მიითვისეს, სესხს არ იხდიდნენ, „აწარმოე საქართველო“ მოატყუეს, ვალი გროვდებოდა, რითაც კომპანია გაკოტრდებოდა და ქონებას აუქციონზე თავად ჩოჩელი შეიძენდა რადგანაც,, კასარას'' მიერ მოპოვებული $CO_2$-ის გაზი ჩოჩელის კომპანიების – ლუდის, ლიმონათის, ხილის წვენების, კონსერვების, წყლების, სარეცხი ფხვნილების, კოსმეტიკური, ჰიგიენის საშუალებების მთავარი შემადგენელიკომპონენტია და მას ჩოჩელი „ასპინძა-პროდაქშენისგან“ და თურქებისგან ძვირად ყიდულობს. მალე მათ კომპანია „ბალტიკიდან“ ვითომდა შპს ''კასარასთვის'' შეიძინეს $CO_2$-ის გადამამუშავებელი სათანადო დანადგარები, რისთვისაც, „კასარას'' აღებული კრედიტით, ბანკთან გარიგებით ოფშორულ ზონებში სხვადასხვა ანგარიშებზე თანხების გადარიცხეს, სინამდვილეში, „ზედაზენისთვის“ შეიძინეს ლუდსახარში დანადგარები და რეზერვუარები. ტვირთი მიდიოდა „ზედაზენზე“ საგურამოში. მას შემდეგ, რაც ექსპერტიზით გაირკვა, რომ დანადგარები უვარგისია, კვალის წასაშლელად, „ზედაზენის“ მთავარმა ინჟინერმა რამაზ ექვთიმიშვილმა ჩოჩელის ლუდსახარში „კასარას“ ქარხანაში დაამონტაჟა, პარალელურად, მიითვისეს მონტაჟის 94 000 ლარი, რითაც, ბუნებრივია, ლუდსახარში ვერ ამუშავდებოდა და გადახდის უუნარო კომპანიას, ქონების იძულებით, რეალიზაცია მოუწევდა ჩოჩელის სასარგებლოდ.

არაკეთილსინდისიერი ინვესტორი 2020 წლის დეკემბრიდან, სასამართლოს გადაწყვეტილებით, წილში აღარ ირიცხება. „თი-ბი-სი ბანკი“, მისი კორპორატიული დირექტორი გიორგი (გიგა) შიხაშვილი, რომელიც არის ცეზარ ჩოჩელის სიძე სესხის აღების დღიდან დღემდე ჩვენთან არ თანამშრომლობს. რამდენჯერმე წერილობით მივმართე „ქვეყნის გადარჩენაზე“ და „ბიზნესის თავისუფლებაზე მოფიქრალ“ ხაზარაძეს, მაგრამ ამაოდ, დღემდე ბანკი გვიმალავს ინფორმაციას არამიზნობრივად გახარჯულ კრედიტზე. თაღლითობა დადასტურდა, „კასარას“ 70% წილის მფლობელებმა, ბანკთან შეთანხმებით, კომპანია ''კასარას'' კრედიტით სხვა დანიშნულების დანადგარი ''შეუძინა''. აღმოჩნდა დიკუმენტაცია, რომელზეც ჩოჩელის დეიდაშვილის, ყოფილი ბუღალტრის ნუნუ მღებრიშვილის ხელმოწერა იყო. დამტკიცდა, რომ ბანკმა წინასწარ იცოდა ლუდსახარში დანადგარის შეძენის შესახებ, ჩემი ხელმოწერის გაყალბებით, ბიზნეს-გეგმის შესახებ, რაც ჩოჩელის მხარემ წარადგინა, ბანკი ახორციელებდა თანხების მოძრაობას ''კასარას'' სახელით სხვადასხვა ანგარიშებზე გადარიცხვით, მათ შორის, გიორგი ჩიტიშვილის ქალიშვილის სახელზე მოსკოვში, ბანკთან ერთად „ათეთრებდნენ“ ფულს, ყველაფერს კი ინვესტიციის სახელს არქმევდნენ, ეროვნული ბანკიდან „კასარას“ 350 000 აშშ დოლარის კრედიტის უზრუნველყოფისთვის ითხოვდნენ, ხან 10 მილიონ ლარს, ხან – 10 მილიონ დოლარს. „კასარამ“ ბანკის, ცეზარ ჩოჩელის, გიგა შიხაშვილის ზურაბ ფიცხელაურის ქმედებებით ჯართად ქცეული ლუდსახარში მიიღო, რაზეც 2019 წლის დეკემბრიდან 182–ე მუხლით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ეს პროცესი დაუსრულებლად მიმდინარეობს.

**– გასაგებია, მაგრამ ლუდსახარში დანადგარი წიაღის მომპოვებელ კომპანიაში რატომღა დაამონტაჟეს?**

– ჩვენთვის თვალის ასახვევად და სასამართლოსთვის კეთილსინდისიერ ინვესტორებად თავის მოსაჩვენებლად. არ ეგონათ, რომ შევძლებდით ლუდსახარშის გადამალული დოკუმენტაციის მოპოვებას და თაღლითობის დადასტურებას. ექსპერტიზის ჩატარების და სასამართლო დავის დაწყების შემდეგ გიორგი ჩიტიშვილი ფიზიკურად გამისწორდა, მიმაჭყლიტა რკინის კონსტრუქციებზე ისე, რომ სასწაულებრივად გადავრჩი, კარგა ხანს დამჭირდა მკურნალობა ონკოლოგებთან საზღვარგარეთის კლინიკებში. ამ ფაქტის გამო 126–ე მუხლით ჩიტიშვილი გასამართლდა.

მიუხედავად სასამართლო დავებისა, ჩიტიშვილების მხრიდან გადასახადების შეგნებულად გადაუხდელობის გამო, შემოსავლების სამსახურმა და ბანკმა ერთდროულად დაიწყო „კასარას“ ქონების იძულებითი რეალიზაცია.

დაუსრულებლად ვითხოვთ 2017–2018 წლებში, ფორს-მაჟორულ პერიოდში როცა წარმოებას არ მოეწოდებოდა გაზი, დარიცხული გადასახადების ჩამოწერას, მთავრობა ინფორმირებულია, რომ პანდემიის დროს წიაღის ეროვნულმა სააგენტომ ადმინისტრაციული ნორმების დარღვევით ჩოჩელის სასარგებლოდ 2020 წლის მაისში მეორედ გაგვიუქმა ლიცენზია და სასწრაფოდ გადაწყვიტა ლიცენზიის გაყიდვა. მაშინ, როცა „კასარა“ ლიცენზიის დასაბრუნებლად სასამართლოში დაობს.

**– „კომპანიონები“ იოლად ჩამოგშორდნენ?**

– რა თქმა უნდა, არა. ჩოჩელი წაგებას არაა მიჩვეული, ქირაობს გავლენიან ადვოკატებს, ბევრს უხდის და მუდმივად გვებრძვის. მას ყველა უწყებაში ჰყავს მხარდამჭერები, შემოსავლების სამსახურშიც, აღსრულებაშიც, სასამართლოშიც, პროკურატურაშიც. სამწუხაროდ, დღეს ის საქართველოს პარლამენტის წევრია და მეტი გავლენა აქვს. ყველა მისი ბიზნესი ყაჩაღური გზით არის მოპოვებული. მიუხედავად იმისა, რომ ცეზარ ჩოჩელი არის მთავარი დამფინანსებელი „ნაციონალური მოძრაობის“ და იმ დესტრუქციული ძალების, რომლებიც კანონიერ ხელისუფლებას გადატრიალებით ემუქრებიან. ის დღესაც აგრძელებს კომპანია „კასარაზე“ ზეწოლას და ცდილობს მის ხელში ჩაგდებას.

ჩვენი დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ 880 000 ლარამდეა. რაზეც მივმართეთ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც 2021 წლის მაისში ნდობა გამოგვიცხადა – გაგვიფორმდა საგადასახადო შეთანხმება, მაგრამ, მთავრობის განკარგულების მიუხედავად, შემოსავლების სამსახურმა, ჩვენს მიმართ შეთანხმების ვადის დასრულებამდე დაიწყო სასწრაფო იძულებითი აღსრულება, რითაც ქონების სრულად დაკარგვის საშიშროება გვემუქრება.

სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილების მიუხედავად, რომ კომპანია გადარჩეს, ხელი შეეწყოს უნარშეზღუდულ მეწარმეს წარმოების ამუშავებაში, ქარხნის ექსპლუატაციაში გაშვებაში, დავალიანებების დაფარვაში, შემოსავლების სამსახურის ჩინოვნიკები ცდილობენ, წარმოება წაგვგლიჯონ და გადაულოცონ ჩოჩელს.

სახელმწიფოში, სადაც ბიზნესმენი, ყაჩაღი ცეზარ ჩოჩელი დღესაც უდიდესი გავლენით სარგებლობს და საქართველოს ფინანსურ საგამოძიებო სამსახურში დაწყებული გამოძიება „კასარას“ მიმართ დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის შესახებ დაუსრულებლად მიმდინარეობს, სად



უნდა იპოვოს პატიოსანმა მეწარმემ სამართალი?!

**— რით დაამტკიცებთ თქვენს მოსაზრებებს და ეჭვებს ჩოჩელის მიმართ?**

— მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებს, რომ ჩოჩელის პირადი ბიზნეს-ინტერესით მოხდა „კასარაში“ მისი ცოლის ძმის ინვესტორად შემოსვლა, კომპანიის გაკოტრება და სააღსრულებო წარმოების დაწყება ადმინისტრაციული ნორმების დარღვევით.

„თი-ბი-სი“ ბანკის კორპორატიული დირექტორის მიერ “კასარას” 2500კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 550კვ.მ. ქარხნის აუქციონზე გატანა, რომლის ერთადერთი შემძენი არის ცეზარ ჩოჩელი.

„ქართული ლუდის კომპანიის – ზედაზენის“ კუთვნილი, უვარგისი ლუდსახარშის „კასარას“ ქარხანაში დამონტაჟება;

ზედაზენის მთავარი ინჟინრის რამაზ ექვთიმიშვილის მიერ „კასარას“ ჭაბურღილის შეგნებულად დაზიანება.



„თი-ბი-სი“ ბანკის კორპორატიული დირექტორის გიგა შიხაშვილის და ბანკის ნოტარიუსის მედეა გვაზავას მიერ ჩემი შვილის – „კასარას“ უნარშეზღუდული დამფუძნებლის, მოტყუებით, 2 მლნ კრედიტის დოკუმენტებზე ხელმოწერა და მათი გადამალვა.

სხვა მრავალი ქმედება, ეს არაა მხოლოდ მოსაზრება, ეს არის ფაქტები. რაზეც გამოძიება დაწყებული.

**— ახლა რას აპირებთ?**

— კომპანია “კასარას“ მხარდასაჭერად, ყაზბეგის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და „ქართული ოცნების“ 800 ამომრჩეველმა პრემიერს წერილი მისწერა. მოსახლეობის მიმართვაში აღნიშნულია, რომ:

●

„ქართული ოცნების“ ხელისუფლება ამბობს, რომ ბიზნესი გათავისუფლდა ზეწოლისაგან, მთავრობამ წარადგინა პანდემიის შემდგომ ანტიკრიზისული და ეკონომიკის განვითარების 10-წლიანი გეგმა, საუბარია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, უნარშეზღუდული ადამიანების ბიზნესში მონაწილეობასა და ხელშეწყობაზე, შეღავათიან კრედიტებზე, თანადაფინანსებაზე, დავალიანებების რესტრუქტურიზაციასა და ჩამოწერაზე... ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი საწარმოს ხელშეწყობა, რომელიც ერთადერთია ხეობაში, უნიკალურია საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ($CO_2$-ის ბუნებრივი გზით მოპოვება) ქვეყანაში გაზზე ბაზრის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება, რადგანაც ინვესტორის მოძიება პანდემიის დასრულებამდე შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება განიხილავს „კასარასათვის“ უკანონოდ დარიცხული ვალების ჩამოწერას, კომპანია თავისი ძალებით შეძლებს წარმოების ამუშავებას და ყაზბეგის ბიუჯეტი ყოველწლიურად დამატებით 950 000 ლარამდე შემოსავალს მიიღებს, მუდმივად დასაქმდება 50-მდე ადგილობრივი. 2019 წელს მთავრობის მიერ დამტკიცებულ თრუსოს და კობის განვითარების სტრატეგიული გეგმის ფარგლებში ამ კომპანიის გადარჩენა პრიორიტეტულია მუნიციპალიტეტისათვის და ქვეყნისათვის.

ხევის მოსახლეობა აღარ დაუშვებს, რომ ჩოჩელის ინტერესით თრუსოს ხეობაში უნიკალური საბადო გაიყიდოს და ხელში ჩაუვარდეთ ოსებს, ხეობაში კიდევ ერთი ცხელი წერტილი გაჩნდეს, არ დათმობენ მოხევეები, რადგან „კასარას“ ჭაბურღილის დაკარგვით თრუსო დაკარგული იქნება მოხევეებისთვის.

ბატონი პრემიერო,

კიდევ ერთხელ გთხოვთ, საქართველოს მთავრობამ, პირადად თქვენ, გაითვალისწინოთ ხევის მოსახლეობის უმრავლესობის თხოვნა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი თრუსოს ხეობაში საწარმოს გადარჩენისა და ამუშავებისა და კომპანია შპს „კასარას“ ჩამოაწეროთ 850 000 ლარის დავალიანება. არამც და



არამც ეს მიმართვა არ ჩაგვითვალოთ ულტიმატუმად, არამედ მიიღოთ მოხევეების უმორჩილეს თხოვნად.

**პატივისცემით, ყაზბეგის მოსახლეობა“.**

●

კომპანია „კასარა“ და მისი უნარშეზღუდული პარტნიორი, მიუხედავად უკიდურესად მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურების მიმართ საქართველოს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში აწარმოებს დავებს და ველოდებით სამართლიან გადაწყვეტილებებს კომპანიის გადასარჩენად, ველოდებით ასევე გამოძიების დასრულებას და დაზარალებულად ცნობას, იმედს ვიტოვებთ, რომ კომპანია „კასარას“ წარმოებაში დასაქმებული ადგილობრივებისა და მოსახლეობის მხარდაჭერით და თქვენი გაზეთის საშუალებით შევძლებთ მთავრობის და პრემიერის ყურადღების მოპოვებას და საწარმოს გადარჩენას.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# აფხაზეთის და სამაჩაბლოს გარეშე ნატოში შესვლაზე ფიქრიც კი ღალატია!!!

გასულ კვირას გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები — არჩევანის გაკეთება რომ მოგიწიოთ, ერთი მხრივ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებასა და მეორე მხრივ, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას შორის, რომელს აირჩევდითო?! — საქართველოს სოფლების მცხოვრებთა 12%-ს ნატოში გაწევრიანება სურს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ნაცვლად, დანარჩენი ქალაქების მცხოვრებთა 9%-ი, ხოლო ჩვენი დედაქალაქის 19%-ი თანახმაა, საქართველო შევიდეს ნატოში და ევროსტრუქტურებში, თუნდაც აფხაზეთი და სამაჩაბლო საერთოდ დაიკარგოს.




დარწმუნებული ვარ, საქართველოს სოფლების 12%, ქალაქების 9% და თბილისის მოსახლეობის 19% ის ადამიანები არიან, აგვისტოს სამარცხვინო და „ნაცმოძრაობის“ მიერ წამოწყებული ავანტურისტული ომის შემდეგ რომ ამბობდნენ — ნუ გეშინიათ, რუსის ჯარმა ნატახტართან გადაუხვიაო.

ის მედასავლეთეები, გასვეცკებულ-გაევროპელებული, საქართველოსთვის გაუცხოებული და ჩვენი ქვეყნისთვის, ფაქტობრივად, დაკარგული, ღალატში ჩავარდნილი ფსევდო-ლიბერალ-დემოკრატები არიან სწორედ, ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენი წინაპრების სისხლით და ძვლებით გაჟღენთილ სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთს რომ ეძახიან და აფხაზეთთან ერთად უარს რომ ამბობენ მათზე, ოღონდ ნატოში და ევროკავშირში გავწევრიანდეთო.

„ვიღაცას მამა დავიწყებოდა და მამინაცვალს ფიცულობდაო“, — ხომ გაგიგონიათ?. ნატომ და ევროკავშირმა სამოთხის კარიც რომ გაგვიღოს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უარი როგორ უნდა ვთქვათ, წარმოდგენაც კი მიჭირს.

დღეს პარლამენტში არსებული ყველა პოლიტიკური პარტია, თითო გამონაკლისის გარდა, ევროპის ან ევროპული დემოკრატიის სახელს ატარებს და ამ სახელს ამოფარებული, ვითომ პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა, სინამდვილეში, შარლ მიშელებისა და კელი დეგნანების აზროვნებას უძუძგურებენ, რადგან თავად აზროვნებაც ეზარებათ და მგონი, ეუხერხულებათ კიდეც.




ამასწინათ ერთი მეზობელი რესპუბლიკიდან იყვნენ თბილისში ჩამოსული ჩვენი მეზობლები და მეგობრები.

— დავდივართ თბილისის ქუჩებში, შენდება, მშვენდება ქალაქი, მაგრამ თქვენი ხალხის ვერაფერი გავიგეთ, ყველა გაქცევას ცდილობს, არაფერი ახალი აქედან არ მოდის, არადა, თენდება დილა — თბილისისკენ ვიყურებით, ღამდება — თბილისს ველოდებით, საქართველო კავკასიის ცენტრია, ქართველები ხართ კავკასიის რეგიონის მთავარი მამოძრავებელი ძალა, თქვენ კი დუმხართ და უფრო უარესი, აქედან გაქცევასაც აპირებთო. — შეშფოთებული მელაპარაკებოდნენ მეზობლები.

„უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო“, ასეთ ვითარებაში, რა ნატო, რის ევროკავშირი, რა ამერიკა, რა ევროპა, საქართველო გვაქვს დასაბრუნებელი, ამ ქვეყნისთვის ზრუნვის და მოფერების განცდა, სამშობლო რომაა საქართველო ჩემი, შენი და ჩვენი, ეს განცდა ხელახლაა დასაბადებელი და ის საშინელი ნიჰილიზმი, საყოველთაო დეპრესია და ჩაგვრა (ბულინგს რომ ეძახიან ნაცლიბერალი ოკეანედალეულები), რომელმაც მოსპო, მოგუდა და გაანადგურა ყოველივე პატრიოტული ქართველ კაცში, ესაა დასაბრუნებელი...

ყველა დანაშაული რომ ჩამოეწეროს „ნაცმოძრაობას“ და მის ცოდვით სავსე ბელადს, აი, ამ განცდის გაქრობისთვის, სამშობლოს სიყვარულის გაბიაბრუებისთვის, გაუბრალოებისთვის, ქვეყნისთვის თავდადების გრძნობის უბრალო ტრაფარეტად ქცევისთვის ეკუთვნის სამუდამო წყევლა და შეჩვენება, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, სულიერებაამოცლილი, განცდადაკარგული სხეული არის გვამი, რომელიც ყროლდება და მას ბუზები და მატლები ეხვევიან, და როგორც წესი, ამ სიმყრალეს ადამიანები განერიდებიან ხოლმე...

●

ჩვენი პროფესია ისეთია, კვირაში, ალბათ, ათეულობით ადამიანს შეხვდები.

ადრეც მსმენოდა, მაგრამ ამ ახალი წლის დღეებში, ალბათ, მომეტებული კონტაქტების გამო, პარადოქსალურ ამბებს შევესწარი: რამდენიმე ადამიანი შემხვდა, რომლებსაც ეცოდებათ პატიმარი სააკაშვილი და მის გამოხსნას გულდათუთქულები ელოდებიან — ბოლოს და ბოლოს, რამდენი კარგი რამ გააკეთა, გაათავისუფლონ ჩვენი პრეზიდენტიო. როცა ვუხსნიდი, ვუყვებოდი ფაქტებს — აგვისტოს ომის, ზემო აფხაზეთის, ციხის, საიდუმლო ფაილების, უდანაშაულოდ დახვრეტილების, რომელზეც არაერთხელ და ორჯერ, ალბათ, ათასჯერ დაწერილი და დაბეჭდილი გვაქვს ჩვენ და არა მხოლოდ ჩვენ, თქვენ უნდა გენახათ, მათი გაოცებული თვალები. სააკაშვილის შემცოდე ერთ ქალბატონს ჩემ მონაყოლზე წნევაც აუვარდა: არ ვიცოდი, ეს რა საშინელებები ჩაუდენიაო.

საქართველოში არსებობს უამრავი ტელევიზია, რადიო, ინტერნეტპორტალი, ინტერნეტსაიტი, ინტერნეტგამოცემა, ფეისბუკი, გაზეთები, ჟურნალები, მაგრამ მოსახლეობას ობიექტური, სწორი და რეალური ინფორმაცია მაინც არ მიეწოდება. მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ იმდროინდელ „ნაციონალურ“ ეიფორიაში ცხოვრობს — მიშამ ქარხანა გახსნა მარჯვნიდან და მარცხნიდან...

ბოლო-ბოლო, 2012 წლიდან, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა, ამის მთქმელი და დამწერი, ორიოდე გამოცემასთან ერთად, მარტო „საერთო გაზეთი“ რომ არის, რატომ არის ასე, ვინ ემტერება და ებრძვის ქართულ სახელმწიფოს „ქართულ ოცნებაზე“ თავდასხმებით — ისევ ჩვენი თანამემამულეები ხომ არა?!

კითხვა რიტორიკულია, მაგრამ პასუხები ყველა ჩვენგანს გვაქვს და ეს პასუხები საჯარო და სახალხო უნდა გავხადოთ!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „მართალია მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით: გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ მაინც არ შერჩება“

1878 წლის მარტში, დაბა სან–სტეფანოში, რუსეთსა და თურქეთ შორის დაიდო ზავი. ხოლო 1879 წელს ბერლინის კონგრესზე დადასტურდა, რომ აჭარა ამიერიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. აჭარის დედასამშობლოში დაბრუნებას დიდი აღფრთოვანებით მიესალმნენ საქართველოში. 1878 წელს აჭარის დეპუტაცია თბილისში მიიწვიეს. დეპუტაციაში შედიოდნენ ჰუსეინ–ბეგ ბეჟან–ოღლი (ბეჟანიძე), ჰუსეინ აბაშიძე, შერიფ–ბეგ ხიმშიაშვილი და სხვები. სტუმრებს მასპინძლობას უწევდნენ გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. შეხვედრაზე ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ ორბელიანმა საპასუხო სიტყვა დახვეწილი ქართულით წარმოთქვეს ჰუსეინ–ბეგ ბეჟანიძემ და შერიფ–ბეგ ხიმშიაშვილმა.სამუსლიმანო საქართველოში ეროვნულ–გამანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ზემო-აჭარის უკანასკნელი მთავარი შერიფ–ბეგ ხიმშიაშვილი (აჰმედ–ფაშას ძე) 1829 წელს დაიბადა დაბა ხულოში ძველი ქართული ტრადიციების მატარებელ ოჯახში. მამამისი ახალციხის საფაშოს (გუბერნიას) ხელმძღვანელობდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის 1828–1929 წლების რუსეთ–ოსმალეთის ომის მიმდინარეობის დროს ახალციხის საფაშოს დიდი ნაწილის შემოერთებაში. მას, როგორც საფაშოს გამგებელს, თავდადებით არ უბრძოლია ახალციხის შესანარჩუნებლად. მისი ძალების შებრძოლება რუსეთის არმიასთან მოჩვენებითი ხასიათისა იყო, რადგან კარგად ახსოვდა მამის სიტყვები: „ჩვენი სამშობლო საქართველოა და არა ოსმალეთი“. აჰმედ ფაშა 1836 წელს, 55 წლისა მოულოდნელად, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. შვიდი წლის შერიფის აღზრდა ითავა დედამ, დუდი ხანუმ ბეჟანიძემ. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ოსმალეთის სულთნის კარმა მას დაავალა აჭარის გამგებლობა. დუდი ხანუმმა მხარის გამგებლობა მიანდო მაზლს, ჰუსეინ–ფაშას, თავად კი მალევე წავიდა სტამბოლში, რათა შვილის განათლებასა და მისთვის ბეგობის წოდების მოპოვებაზე ეზრუნა. უამისოდ შერიფი ვერ გახდებოდა აჭარის მმართველი, ვერ დაიკავებდა მამის თანამდებობას. სტამბოლში დუდი ხანუმს დამხმარედ ეგულებოდა ოსმალეთის ფადიშაჰის მაჰმუდ მეორის მეუღლე შუშანი თავდგირიძე, რომელიც წარმოშობით ქობულეთიდან იყო და ოსმალეთის სულთნის კარზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მან მართლაც დიდი პატივით მიიღო დაქვრივებული დუდი ხანუმი და შემდგომშიც არ აკლებდა ყურადღებას. შერიფი მიაბარეს უფლისწულებისთვის განკუთვნილ სკოლაში, სადაც საფუძვლიანი განათლება მიიღო. ქართულად წერა–კითხვა და ქართული ლიტერატურა კი ოჯახში შეისწავლა დედის დახმარებით.სანამ შერიფი სრულწლოვანი გახდებოდა, მანამდე ზემო აჭარას დუდი–ხანუმი მართავდა. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა უბრალო ხალხშიც და სულთნის სამეფო კარზეც. განსაკუთრებული გონიერება გამოიჩინა მან 1844 წელს, როცა აჭარის მოსახლეობა აუჯანყდა ოსმალეთის ხელისუფლებას დამატებითი გადასახადების შემოღების გამო. თურქეთის სულთანმა მღელვარების ჩასახშობად მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა და რომ არა დუდი–ხანუმის დიპლომატიური ნიჭი ადგილობრივ მოსახლეობას დიდი საშიშროება ელოდა. თხუთმეტი წლის შერიფი აჭარაში ფაშის ტიტულით დაბრუნდა. სულთან აბდულ–მეჯიდს მისი სასახლის კარზე დატოვება სურდა, მაგრამ დუდი–ხანუმის პირადი თხოვნა გაითვალისწინა და შერიფი ზემო აჭარის მმართველად დაამტკიცა. მისი მმართველობის დროს სისხლის აღებისა და ყაჩაღობის შემთხვევები საგრძნობლად შემცირდა. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის პიროვნებას ბევრი მოგზაური თუ მკვლევარი მოუხიბლავს თავისი განათლებით, ენამახვილობითა თუ დარბაისლობით. მასზე მოგონებები დაგვიტოვეს: ივანე კერესელიძემ, დიმიტრი ბაქრაძემ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ნიკოლოზ არჯევანიძემ და სხვებმა. 1874 წლის გაზაფხულზე შერიფ ბეგის სტუმარი ყოფილა გიორგი ყაზბეგი. იგი მასპინძელს ასე ახასიათებს: „შერიფ ბეგი ორმოცდახუთი წლისაა, საშუალოზე მაღალი, წარმოსადეგია. მას ტიპიური ქართული სახე აქვს, იგი ძალზე ჭკვიანია, კარგი მოუბარი და ენამოსწრებული, თავისებურად განათლებული და რაც მთავარია, ხელიდან ყველაფერი გამოუდის. ჩვენ ვნახეთ მისი გაკეთებული ხმალი, რომელსაც ოქროს ზარნიში და ვერცხლის შემკულობა აქვს... ბეგმა თვითონ ჩამოასხა სპილენძის პატარა ზარბაზანი, კაკლის ხისგან კი საკმაოდ ფაქიზად გააკეთა რამდენიმე სკამი და დივანი. გარდა ამისა, შერიფ ბეგი კარგი მხატვარიცაა. სახლის თითქმის ყველა კედელს მისი ნახატი ამშვენებს“. .შერიფ ხიმშიაშვილს ძალიან უყვარდა ქართული ლიტერატურა, მშობლიური ენა და კულტურა. ეს ნათლად ეტყობა მის წერილებს. ამ მხრივ სანიმუშოა 1879 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი მისი წერილი – „გულწრფელი აღსარება“, რომელიც გამოირჩევა ფილოსოფიური სიღრმით. მხატვრული ოსტატობით და, რაც მთავარია, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითა და ნათელი მომავლის რწმენით. 1877–1878 წლების ომში ბათუმისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ დაკავებულ პოზიციას. მას შემდეგ რაც ოსმალეთის იმპერიამ აჭარელ ბეგებს უფლებები შეუმცირა, მათ დაიწყეს რუსეთისაკენ ლტოლვა, რადგან ხედავდნენ, რომ იქ მცხოვრები ქართველი თავადები უფრო დაწინაურებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. შერიფ-ბეგი, განსაკუთრებით უწყობდა ხელს რუსეთს აჭარის დაბრუნების საქმეში. მისი ეს დამსახურება უყურადღებოდ არ დარჩა იმპერიის მთავრობას და როდესაც რუსეთის გამარჯვების შემდეგ, 1879 წელს, აჭარის დელეგაცია პეტერბურგში ჩავიდა, შერიფ–ბეგს რუსეთის იმპერატორმა პირადად უთხრა – არ დავივიწყებ ომის დროს შენს მიერ გაწეულ სამსახურსო და სახელმწიფო ხაზინიდან თხუთმეტი ათასი მანეთი ოქროთი გადასცა. შერიფ-ბეგი ამ პერიოდში სახელმწიფო სამსახურში შტაბ-ოფიცრის ხარისხით მსახურობდა. მას დაენიშნა მისი ჩინის შესაფერისი პენსია. თანაც გამოეცხადა, რომ თუ ვინიცობაა, აჭარა ისევ ოსმალთის დარჩა და თქვენ იძულებული გახდით აქაურობა დატოვოთ, რაც ამ მხარეში მამული გაქვთ, იმდენივე მამული მოგეცემათ რუსეთის იმპერიაშიო. შერიფ-ბეგს ეკუთვნოდა: ყარსის ოლქში 400 დესეტინა საშენი ტყე, შიგ ყარსშივე სავაყუფო (მეჩეთებისათვის შეწირული), დუქნები, აჭარის სავაყუფო (საეკლესიო), სოფლები: ხულო, დიდაჭარა, დოსხევი, ალმე და საზაფხულო საძოვრები. ყოველივე ამას ოსმალეთის სულთნების ფირმანებითა და ქართველ მეფეთა მიერ ბოძებული გუჯარებით ფლობდნენ შერიფ-ბეგის წინაპარნი და როგორც მათი კანონიერი მემკვიდრე, თავად შერიფ ბეგიც. აჭარა რუსეთმა დაიპყრო თუ არა, რუსეთის მთავრობამ შექმნა კომისია, რომელმაც 1883 წელს განიხილა აჭარის სამამულო საქმეები და დაადგინა: აჭარის ყველა მამულები ოსმალების ხელში სახელმწიფო ქონებას წარმოადგენდა და მაშასადამე ახლაც სახელმწიფო ქონებად უნდა დარჩესო. შერიფ-ბეგის საკუთრებად მხოლოდ თექვსმეტი დესეტინა მიწა ცნეს. 1889 წელს, როცა უკვე გენერალ–მაიორი იყო, მან მთავრობას კვლავ მიმართა თხოვნით თავისი მამულების თაობაზე, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ სიცოცხლეში არაფერს არ მოსწრებია. 1892 წელს შერიფ ხიმშიაშვილი მიწვეული იყო პეტერბურგში, რუსეთის სამეფო კარზე. იგი იქ გაცივდა, დაავადდა და იმავე წელს გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი შვილებმა აჭარაში გადმოასვენეს. დაკრძალულია თავის საზაფხულო აგარაკზე ქოჩახში. შერიფ-ბეგს დიდი ოჯახი ჰყავდა. დარჩა 20 შვილი (11 ვაჟი და 9 ქალი). ზოგიერთი ცნობით იგი პეტერბურგში ქრისტიანულად მოინათლა და ნათლობის სახელად ალექსანდრე ეწოდა, ნათლიის – იმპერატორ ალექსანდრე II პატივსაცემად. შერიფ-ბეგის შვილები – ისა ბეი, თემურ ფაშა და ჯემალ ფაშა, რუსული განათლების მიუხედავად, მეფის რუსეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდგომაც, რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. შერიფ-ბეგის ახალგაზრდა მეუღლე, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III მეუღლის, მარია ფეოდოროვნას ბიძაშვილი იყო. მარია ფეოდოროვნა კი ინგლისის დედოფლის ვიქტორიას და გახლდათ. გერმანელი მეუღლისაგან შერიფს შეეძინა ქალიშვილი – ვერა-ბატი (ანუ ბატონი), რომელიც 1890 წელს იონა მეუნარგიას მოანათვლინა. ისინი სხალთაში არიან დასაფლავებულნი. დღეს, სოფელ სხალთაში (ხულოს მუნიციპალიტეტი), სახლში, რომელშიც XIX საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შერიფ ხიმშიაშვილი, გახსნილია მისი სახელობის მუზეუმი. შერიფ ხიმშიაშვილმა და მისმა შთამომავლებმა პირნათლად შეასრულეს მათი წინაპრის სელიმ ხიმშიაშვილის (შერიფის ბაბუა) ანდერძი, რომელიც წარმოთქვა ღალატით შეპყრობილმა თავის მოკვეთის წინ – „მართალია მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით: გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ მაინც არ შეგრჩებათ. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებო”, და მათ მართლაც გმირულად გააგრძელეს სელიმის საქმიანობა.


დუდი-ხანუმ ბეჟანიძე


სელიმ ხიმშიაშვილი


შერიფ ხიმშიაშვილი

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

## აკაკი თევზაძე



# ႪႭႺႥႤႡႨ

* * *

უზენაესო, მუხლმოდრეკით
გვედრი ამასა:
ძალგიძს მაქციე ერთი-ასად,
ერთი-სამასად,..
თუმც მთლად ლამაზად ვერ ვიცხოვრე,
ბევრიც შეგცოდე,
ვიცი, შემინდობ და მაღირსებ
სიკვდილს ლამაზად.

* * *

უამურ დღეთა გადმომედო
სევდა - ნაღველი,
ვარ სიზმარივით, ძილშიც მძინავს
თვალებგახელილს,
ისე წახვედი - ერთი სიტყვაც
არ დაგიგდია,
რას დავეძებდი - ყოფილიყო
თუნდ საძრახველი!

* * *

ვის ბაგეს შერჩა ნეტარებად,
მუდმივ ხალისად -
ნაზი ამბორი დამდაგველი
ლამაზ ქალისა?!.
აღვესრულები ოდეს, კრძალვით
შემომხედავდე
საფლავის ქვაზე თავმიდებულს
შესაბრალისად.

* * *

ღრუბელივით რომ დარონინებ
ზეცის თავანსა,
ღმერთო, მომხედე!- თუ სიცოცხლე
მომეც ავანსად,
ნეტავი ქუდი რად გახურავს
უჩინმაჩინის
სამყაროს შემქმნელს, მთელი ქვეყნის
ავანჩავანსა?!

* * *

დგანან მტირალა ტირიფები
და თავს იხრიან
ობოლ საფლავთან-საფლავს რუხი
მტვერი მიჰყრია...
ბედნიერია და ათასგზის
უფრო ნეტარი-
წარმავლობაზე ვისაც წუთით
არ უფიქრია.

* * *

თავზე უკეთესს სხვა მოკეთეს
შემწედ ვის ელი?!
ეშმაკს არ სძინავს, უნდა იყო
ფხიზლად, ფხიზელი...
ვით მუმლი მუხას, ირგვლივ მტრები
შემოგხვევია,
ბრძოლა გმართებს და არ სიმშვიდე
დარბაისელის.

* * *

რაზედ ვალალებს შენი ლექსი
და გუდა-სტვირი?
სევდით დასეტყვილს სამარისკენ
გიქნია პირი,
ხომ არ დაბერდი?-ვხედავ გრძნობებს
ველარ ერევი
და სხვის სატირალს, ვით თავისას,
სტირი და სტირი.

* * *

კაცობრიობას არ ეტყობა
ხნე და ასაკი,
ადამის ძირძველ,ცოდვილ მოდგმას,
და ჩვენ გასაგისს-
ნეტავ როდიდან ესმის მწველი
შაშვის გალობა,
ბულბულის სტვენა და კრუალი
ხიდან ვასაკის?!.

* * *

გწამდეს სახლი ხარ შენ-ღვთის სახლი
და ღვთის ტაძარი,
გულის ძარღვიდან ღვთაებრივი
სიტყვა დასძარი,
მიდექ-მოდექი, რომ ნათელი
კვალი დასტოვო,
დაწყევლილ სიკვდილს შეაყარო
თვალში ნაცარი.

* * *

დამბადებელო, სიცოცხლისა
მომეც დღე დიდი!..
ცაზე წვრილ-წვრილი ვარსკვლავებით
როგორც პეტიტით,
დაწერილია ბედი ჩემი
განაჩენივით,
ო, რად შემყარე სიყვარულის
ბნედა ბედითი

* * *

ვუცქერ სულთმობრძავს, ჯოჯოხეთურ
იმის წამებას,
ნუგეშის სიტყვაც ვეღარ ვუთხარ,
ენა დამება:
წუთისოფელი მართლა ერთი
ამოსუნთქვაა,
ერთი მოხუჭვა თვალის-ერთი
დახამხამება.

* * *

გადაბუგული ვით უდაბნო
ცხელი საჰარის,
ო, გული კვნესის—შეპარვია
სევდა ჭაღარის;
მადლობა ზენარს—გაგაჩინა
ჩემდა ნუგეშად
ტანაშოლტილი, თვალმაისა,
თვალგასახარი!

* * *

მუცელს არ ვალხენ—ზეციერზე
ვფიქრობ მამაზე,
და რწმენით ვივსებ იდუმალი
სულის თამასებს
გულგამოჭმული დარდებისგან
ვერ გავხალისდი
და ვერც ტანჯული ეს ცხოვრება
გავილამაზე.

* * *

ჰადესის კართან უსაშველოდ
გრძელი რიგია,
სიკვდილი არჩევს კაცს ურიგოს
და კაცს რიგიანს?!
მერამდენე ვარ? — ვეკითხები
მიქელ-გაბრიელს,
ან ამ შეკითხვას რა აზრი აქვს —
ვერ გამიგია.

* * *

მახსოვს ფიქრებში ღამეების
თეთრად თევანი,
გადმომივლია ცხრა მთა, ცხრა ზღვა,
ცხრა უტევანი,
რომ შენი კაბის სხივმადლიან
კალთას ვმთხვეოდი
და დამეკოცნა უნაზესი
ხელის მტევანი,

* * *

ხარ ისე მშვიდი, სულფაქიზი
და საყვარელი,
თვით უღალატო, არც არვისგან
ღალატს არ ელი, —
მწარე ფიქრები განიშორე,
ბევრს ნუ ვალალებ,
განა ცოტაა ქვეყანაზე
გასახარელი?!

* * *

გაზაფხულიდან შენზე ვფიქრობ
გაზაფხულამდე,
მაკმარე სულთქმა, ვერ გავუძლებ
ტანჯვას სულ ამდენს...
მარქვი: რომელ გზას, უმადურო,
უნდა დავადგე,
რომ მოვატანო მაგ ულმობელ
გულის გულამდე?!

* * *

თუ ვეფერები მშობელ მიწას,
ვარდებს, ბალახებს,
ცას საოცნებოს და ოცნების
ამ იალაღებს, —
ქედუდრეკელი გმირი ხალხის
ერთგულ მერჯულეს,
ქრისტეს — ჩემს უფალს, ვერავინ ვერ
გამიალაჰებს.

* * *

მზე თვალებს იფშვნეტს,
ჩვილ ბავშვივით მოჰყვა ზმორებას,
ქალწულ სხივებით სპეტაკ მწვერვალთ
ეამბორება,
რა სიწმინდეა... მე ამდენი
ცოდვის მტვირთველი,
შევიძლებ როსმე ზენაარის
თვალის სწორებას?!

* * *

თავაწყვეტილი დრო მიჰქრის და
თვალწინ სხვა ფერებს
შლიან დღეები, სხვა მზე აჭერს
ლექსებს ნაფერებს...
თიხის კაცს ვგავარ — სასოებით
ღვთის გამოძერწილს,
რომელსაც სული აღარ უდგას,
თუმცა შთაბერეს.

* * *

ჩემი გაჩენის დღეს რად ვწყევლი
განამწარები?! —
თავს არ მიყადრი, ხარ ეშმაკის
კვალზე მარები...
რა დამიამებს, სასომიხდილს,
სულის იარებს —
ისე გულცივად მომიხურე
გულის კარები!

* * *

გორაკებს ყვითლად მოენთება
რო ბაიები,
ბაიებივით თეთრ ველებზე
რობაიები
აყვავდებიან... მესიზმრება
შენი ალერსი, —
თრობა ვარდების სურნელებით,
თრობა იებით.

* * *

ვნებათა ღელვამ სულის დვრიტა
ვეღარ წალეკა,
მღვრიე ტალღები ცხოვრებისა
მცემენ წალიკად...
ჟამმა დარეკა — შევისახლო
ქრისტე ჩემში და
ვიშვა ქრისტეში, ვით შემფერის
უფლის ალიკვალს.

* * *

წარმავლობაზე ფიქრმა სული
სევდით დანესტა,
ჟამი ნეტარი სხვა ტარიელს შობს
და სხვა ნესტანს...
სიცოცხლე ჩვენი ერთი მოკლე,
ვიწრო სრუტეა,
შემაერთები ოკეანის
ოკეანესთან.



„საერთო გაზეთის" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველისა და რედაქციის მეგობრის, ღირსეული ქართველი კაცის აკაკი თევზაძის ქალიშვილის თეა თევზაძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს და ახლობლებს.

ვუსამძიმრებ ჩემს მეგობრებს მარინა და აკაკი თევზაძეებს ქალიშვილის თეა თევზაძის გარდაცვალების გამო.

ვახტანგ ხარჩილავა

# ამერიკელი სამხედრო ექიმები „სუპერვაქცინის“ შექმნაზე მუშაობენ

თავიდან სამხედრო მედიკოსები ცდილობდნენ, შეექმნათ ვაქცინა, რომელიც აქამდე არსებული კორონავირუსებისგან დაგვიცავდა.

ახლახან სამხედრო ექიმებმა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის კლინიკური გამოცდების პირველი ფაზის წარმატებით დასრულების შესახებ განაცხადეს.

მედიკოსების თქმით, პრეპარატი, რომელიც ამერიკის უოლტერ რიდის სახელობის ნაციონალურ სამხედრო-სამედიცინო ცენტრში შეიქმნა, არამხოლოდ „ომიკრონისგან“, არამედ აქამდე არსებული კორონავირუსის ყველა ვარიანტებისგან და მანამდე არსებული მონათესავე ინფექციებისგან ნაწილობრივ მაინც დაგვიცავს.

ექსპერტები ვაქცინის გამომგონებლების განცხადებებს სკეპტიკურად უყურებენ და ეჭვებს გამოთქვამენ ამგვარი პრეპარატის შექმნის შესაძლებლობის შესახებ.

რა არის ცნობილი ფარიტინული ვაქცინის **SpFN**-ის შესახებ, რას ემყარება მისი მუშაობის პრინციპი და რატომ არ იზიარებენ მეცნიერები სამხედრო მედიკოსების ოპტიმიზმს...

### ვარიანტების ლაბირინთი...

ვაქცინაცია **Covid-19**-თან ბრძოლის ყველაზე ეფექტიან საშუალებად რჩება. ვაშინგტონის შტატის ბოლო სტატისტიკის მიხედვით, 65 წელს ზემოთ ორჯერ აცრილი ადამიანები საავადმყოფოში 13-ჯერ იშვიათად ხვდებიან, ვიდრე აუცრელები. ლეტალური შედეგები ამ ასაკის ვაქცინირებულებს შორის 15-ჯერ უფრო დაბალია მათთან შედარებით, ვინც აცრაზე უარი თქვა.

„ომიკრონის“ გამოჩენამ ვაქცინების შემქმნელებს ყველაფერი აურდაურია. არამარტო იმით, რომ კორონავირუსის ეს ვარიანტი უფრო ხშირად აავადებს აცრილებს და მათ, ვინც კოვიდი გადაიტანა, არამედ იმითაც, რომ მეცნიერები დარწმუნდნენ, მუტაციის შედეგად ვირუსი იხვეწება და იოლად „უვლის გვერდს“ ჩვენს იმუნურ სისტემას.

„ომიკრონი“ ისეთი სისწრაფით აავადებს ადამიანებს, რომ მსოფლიოში ყოველდღიურად დაახლოებით 3,7 მლნ ადამიანს უდგინდება კოვიდი.

ეს ნიშნავს, რომ დღეისთვის მსოფლიოში არსებული ვაქცინები კოვიდ-19-ისგან სულ უფრო ნაკლებ ეფექტიანად გვიცავენ.

უოლტერ რიდის ნაციონალურ ცენტრში დარწმუნებული არიან, რომ ამ პრობლემის გადაჭრის გზას მიაგნეს: ფერიტინული ვაქცინა **SpFN**-მ შესანიშნავი შედეგები აჩვენა ლაბორატორიული ცდების მსვლელობისას (თაგვებზე, შემდეგ მაკაკებზე) და ადამიანებზე კლინიკური ცდების პირველი ფაზაც გაიარა.

როგორც ცენტრის ახალი ინფექციური დაავადებების განყოფილების



ხელმძღვანელი კაივონ მოჯარადი ამტკიცებს, მათ მიერ შექმნილი პრეპარატს შეუძლია დაგვიცვას (ნაწილობრივ მაინც) კორონავირუსის ყველა ტიპისგან — უკვე არსებულისგან და იმისგანაც, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს მუტაციის შედეგად და ამ ვაქცინის გაკეთების შემდეგ, იმუნური სისტემა ძლიერდება.

### ...და ლაბირინთიდან გამოსასვლელი

**SpFN**-ის (ფერიტინის ნანონაწილაკების სპაიკი) შექმნა მიმდინარე პანდემიამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. თავიდან სამხედრო მედიკოსები ცდილობდნენ, შეექმნათ ვაქცინა, რომელიც ადამიანებს კორონავირუსამდე არსებული დაავადებებისგან დაიცავდა: „ატიპიური პნევმონიისგან“ (**SARS**) და ახლოაღმოსავლური რესპირატორული სინდრომისგან (**MERS**), იდეალში კი მათი ახლო ნათესავებისგან, მათ შორის — **Sars-Cov-2**-ისგან.

მაგრამ, როგორ უნდა შექმნა იმ ვირუსისგან დამცავი ვაქცინა, რომელიც ბუნებაში ჯერ არ არსებობს? ექსპერტების თქმით, ეს არც ისე რთულია.

როგორ შეიძლება წარიმართოს ვირუსის მუტაცია, რა თქმა უნდა, არ ვიცით, მაგრამ საკმაოდ დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომელი მიმართულებით წავა მისი ევოლუცია, გენომის რომელი ფრაგმენტები უფრო ექვემდებარება მუტაციას და რომლებია უფრო სტაბილური და უცვლელი.

სწორედ ამ უკანასკნელის შესწავლაზე შეჩერდნენ ამერიკელი სამხედრო მედიკოსები. „საკვლევ ობიექტად ვირუსების მთელ ოჯახს ვიღებთ. კონკრეტული ვირუსის თვისებების შესწავლის შემდეგ ვაკვირდებით, როგორ ვლინდება ის მის „უახლოეს ნათესავებში“, — ამბობს ექიმი მოჯარადი.

ადრე გამოყენებული **Covid-19**-ის საწინააღმდეგო ვაქცინებისგან განსხვავებით, ახალი გამოგონების შენახვა უფრო იოლია — ერთი თვე მაცივრის გარეშე შენახვის შემდეგაც კი ის თავის თვისებებს არ დაკარგავს.

„ამგვარი მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს, შევქმნათ უნივერსალური ვაქცინები და მედიკამენტები იმ დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, რომლებსაც ვირუსები იწვევს“, — ამტკიცებს მოჯარადი.

მიღებული პრეპარატი მიეკუთვნება ეგრეთ წოდებულ ცილოვან (პეპტიდურ) ვაქცინებს, როცა აცრის შედეგად ორგანიზმში ხვდება ვირუსის ცილის ის ფრაგმენტი, რომელსაც დამოუკიდებლად გამრავლება არ შეუძლია“.

ორგანიზმი უცხო წარმომავლობის პროტეინს შესაბამისი ფორმის



ანტისხეულს მოუძებნის და ამგვარად ანადგურებს ვირუსს, რომელიც ნაწილობრივ მუტირებას განიცდის.

რუსეთში ასეთი ტექნოლოგიით იწარმოება „ეპივაკკორონა“, რომელიც ნოვოსიბირსკშია შექმნილი.

ვაქცინას ფერიტინული დაერქვა, რადგან საფუძვლად გამოიყენება სფეროს ფორმის ფერიტინის ცილის მოლეკულა, რომელზეც „ასვამენ“ ეკლის ფორმის ცილის ფრაგმენტებს.

ეს გავრცელებული პროტეინის კომპლექსია, რომელიც ბევრი ცხოველის ორგანიზმში გვხვდება (მათ შორის უხერხემლოებში) და ადამიანშიც. რადგან თავად ფერიტინს ჩვენი უჯრედები გამოიმუშავებს (ორგანიზმი შეჩვეულია), ლეიკოციტები მხოლოდ ცილაზე „დასმულ“ უცხო ელემენტებზე რეაგირებენ, ანტისხეულებს გამოიმუშავებენ და ამ ელემენტებს ანეიტრალებენ.

რადგან თავად ეს ფრაგმენტები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, ანტისხეულების სპექტრიც საკმაოდ ფართოა და შეუძლიათ იმ ვირუსებისგან დაცვაც კი, რომლებიც მომავალში გაჩნდება.

### რას ფიქრობენ სკეპტიკოსები

იმის შესახებ, რომ მომავალი ვაქცინა **Sars-Cov-2**-ის ყველა ვარიანტისგან დაგვიცავს, მისი შემქმნელები ჯერ კიდევ 2020 წლის ივნისში საუბრობდნენ.

2022 წლის დასაწყისში კი **SpFN**-ის კლინიკური ცდების პირველი ფაზის წარმატებით დასრულების შესახებ განაცხადეს, რომელშიც 72 ვოლონტიორი იღებდა მონაწილეობას. კვლევების სრული მონაცემები პუბლიკისთვის ჯერ არ წარუდგენიათ — მათ ერთ-ერთ სამედიცინო ჟურნალში გამოაქვეყნებენ.

ექსპერტები სამხედრო მედიკოსების ოპტიმიზმს არ იზიარებენ.

მერილენდის უნივერსიტეტის ფარმაცევტული სკოლის პროფესორი და ბრიტანული სამედიცინო ჟურნალის **BMJ**-ის უფროსი რედაქტორი პიტერ დოში საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს ამგვარი პრეპარატის შექმნის იდეასაც კი.

„ვაქცინის შემქმნელებისგან ანალოგიური განცხადებები გრიპის ვაქცინასთან დაკავშირებით, უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც მესმის. გრიპიც და **Sars-Cov-2**-იც სწრაფად მუტირებად რიბონუკლეინმჟავა-ვირუსებს მიეკუთვნება, რომლებიც სულ ახალ ვარიანტებს ქმნიან. პირადად მე არ მაქვს პასუხი, ვირუსის გენომის რომელი ნაწილი შეიძლება მივიჩნიოთ საკმაოდ სტაბილურად და უცვლელად, რათა მის საფუძველზე შევქმნათ ერთიანი ვაქცინა, რომელიც ახალი მუტაციების გაჩენისას არ მოძველდება“.

მის მოსაზრებას იზიარებს ოქსფორდის უნივერსიტეტის მტკიცებულებითი მედიცინის პროფესორი ტომ ჯეფერსონი: „ისტორიის განმავლობაში ბევრი გამოუსადეგარი ვაქცინა და




ანტივირუსული პრეპერატი შექმნილა, ამგვარი სრულყოფილი ვაქცინის შექმნა თითქმის შეუძლებლად მიმაჩნია“.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22



## მილოცვა

ჩვენი გაზეთის ერთგულ თანამშრომელს, ჟურნალისტ

**გია ბურდულს**

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიყვარულს, წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99